კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამა

ხატია მიქელაძე

ამერიკის შეერთებული შტატების მიზნები შორეულ აღმოსავლეთში- იაპონიის მაგალითზე

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ნიკა ჩიტაძე

გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი,ასოცირებული პროფესორი

თბილისი-2020

ანოტაცია

საერთაშორისო ასპარეზზე ამერიკა წარმოადგენს ჰეგემონ ქვეყანას და მისი ძირითადი პოლიტიკა მიმართულია გაიმყაროს ეს პოზიცია, ამერიკისთვის მნიშნელოვან საკითხს წარმოადგენს აზიის ქვეყნებთან თანამშრომლობა, რეგიონში აშშ-ის ინტერესების გატარება და პოზიციების გამყარება. აზია- წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ის ჩართულობას ძლიერი არგუმენტი გააჩნია, მსოფლიოში აზიის ნაწილი მთლიანი მოსახლეობის ნახევარია, უდიდესი სამხედრო ძალებით გამოირჩევა და გლობალურ ფართო მოხმარების წარმოებაზეა პასუხისმგებელი. აზიის ქვეყნები, აშშ-ის ეკონომიკისთვის, ინვესტიციების აუცილებელი წყაროა. დღეს ამერიკის შეერთებული შტატები „პირველი“ ქვეყანაა მსოფლიოში , როგორც ეკონომიკური ასევე სამხედრო პოტენციალით, ძლიერ ქვეყნებს უფრო სჭირდება ბრძოლა შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა და არ დაკარგოს იგი, იგი ცდილობს ჰყავდეს მეტი პარტნიორი ქვეყანა და ეს ქვეყნები იყვნენ მასზე დამოკიდებული , რათა იოლად შეძლოს მოსალოდნელი ყოველი მზარდი ძალის განეიტრალება, სწორედ ამიტომ ამერიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონიასთან ურთიერთობას, ცივი ომის პერიოდში ,რათა არ მომხდარიყო გაწითლება და ცივი ომის შემდეგ , რათა დააბალანსოს ჩინეთის ამბიციები რეგიონში , თავის მხრივ კი აშშ -ის სამხედრო ბაზები იაპონიაში წარმოადგენს იაპონიის თავდაცვის შესაძლებლობას მოსალოდნელი ჩრდილოეთ კორეული საფრთხისგან, ასევე ჩინეთისა და რუსეთისგან.

Annotation

In the international arena, the United States is a hegemonic country and its main policy is to strengthen this position, it is important for the United States to cooperate with Asian countries, to pursue US interests in the region and to strengthen its position. The involvement of the United States in the Asia -Pacific region has a strong argument, half of the world is total population of Asia, has a large military force and is responsible for global consumerism. Asian countries are a necessary source of investment for the US economy. Today, the United States is the "first" country in the world with both economic and military potential. Strong countries need to fight to maintain the status quo and not lose it. That is why it is so important for the United States to have a relationship with Japan during the Cold War so that there is no reddening after the Cold War to balance China's ambitions in the region. For its part, the U.S. military bases in Japan represent Japan's defense capability from the impending North Korean threat, as well as China and Russia.

სარჩევი

ანოტაცია 2
Annotation 3
შესავალი 5
თავი პიველი. აშშ-იაპონიის ურთიერთობები ისტორიულ რეტროსპექტივაში 13
1.2 აშშ-იაპონიის ურთიერთობები 1945-1952 წლებში- ამერიკული ოკუპაცია 21
1.3 ამერიკული ოკუპაციის მიერ გატარებული რეფორმები და მისი შედეგები 26
თავი მეორე . აშშ-ის ინტერესები წყნარი ოკეანის სივრცეში 31
2.1 სხვა აქტორების როლი „რუსეთი“ „ჩინეთი“ „ჩრდილოეთ კორეა“ აშშ-იაპონიის ურთიერთობებში 37
2.2 აშშ-ის ინტერესები იაპონიაში სამხედრო დასწრებასთან დაკავშირებით 51
თავი მესამე . აშშ-იაპონიის ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივები 60
დასკვნა 65
გამოყენებული ლიტერატურა: 69

შესავალი

აშშ-ს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს ,შორეული აღმოსავლეთის რეგიონი წარმოადგენს , აშშ-ის აღნიშნულ რეგიონში საკუთარი გეოპოლიტიკური ადგილის დასამკვიდრებლად იაპონიასთან ურთიერთობების გაღრმავება ესაჭირობა.

აშშ -ის ყურადღება შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მიმართ, მიპყრობილ იქნა გასული საუკუნის ოციანი წლებიდან, როცა აშშ-ის ინიციატივით ჩატარებულ იქნა საერთაშორისო ვაშინგტონის კონფერენცია, რომლის მიზანსაც წყნარი ოკეანის სივრცეში სტაბილურობისა და თანამშრომლობის გაღრმავებას წარმოადგენდა რეგიონის ქვეყნებთან. მე-2 მსოფლიო ომის პერიოდში , როცა იაპონია თავს დაესხა აშშ-ის ბაზას პერლ ჰარბორში, აშშ მეორე მსოფლიო ომში ჩაერთო , ხოლო მისი ყურადღება ძირითადად გამახვილებული იყო შორეული აღმოსავეთის რეგიონთან,რაც განპიროვნებული იყო იაპონიასთან ომით .მორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიამ პირველად გამოცადა ოკუპაცია და ეს იყო ამერიკული ჯარების შესვლა იაპონიის ტერიტორიაზე . აშშ-ის ინიციატივით იქნა შედგენილი იაპონიის კონსტიტუცია , რომელიც მიღებულ იქნა 1947 წელს , კონსტიტუცია დუგლას მაკარტურის სახელით იქნა ცნობილი. აშშ -იაპონიას შორის 1951 წელს დადებულ იქნა სან ფრანცისკოს ხელშეკრულება , რომელიც მიზნად ისახავდა აშშ-ის მიერ იაპონიის თავდაცვისა და უსაფრთხოების აღებას და მეროე მხრივ ამ მიმართულებით აშშ-ის სამხედრო ბაზის განთავსებას იაპონიის ტერიტორიაზე.

ცივი ომის პერიოდში აშშ-ს მთავარი მოწინააღმდეგე იყო საბჭოთა კავშირი , რომელიც ამერიკელი გეოპოლიტიკოსის ნიკოლას სპაიკმენის სიტყვებით , ახორციელებდა „ანაკონდას“ პრინციპს , რაც გულისმობდა მოწინააღმდეგის გარშემოტყმას ყოველი მიმართულებით. აშშ-მ განიმტკიცა თავისი პოზიციები , ევროპაში ნატოს შექმნით, წინა აზიაში კი პროამერიკული რეჟიმის არსებობით , აშშ დიდ ყურადღებას აქცევდა საბჭოთა კავშირის სიახლოვეს თავისი გეოპოლიტიკური გავლენის გაძლიერებას შორეული აღმოსავლეთის რეგიონში.

ამერიკამ მნიშნელოვანი კონტიგენტი განათავსა , როგორც კორეის ნახევარკუნძულზე, ასევე იაპონიაში, იაპონიასთან თანამშრომლობა უფრო აქტუალური გახდა, მას შემდეგ, რაც ჩინეთში ხელისუფლების სათავეში კომუნისტური პარტია მოექცა. კორეის ომის შემდეგ აშშ-ის სტრადეგიულად

ხელისშემშლელი ქვეყნები იყო კორეა და ჩინეთი , არსებობდა ტერიტორიული დავა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის კურილიის კუნძულების გამო, რომელიც მითვისებულ იქნა საბთოთა კავშირის მიერ უკანონოდ. შორეულ აღმოსავლეთში ამერიკამ დიდი პასუხისმგებლობა იტვირთა , რომელიც გულისხმობდა იაპონიას თავდაცვას ჩინეთის ან კორეისგან მოსალოდელი თავდასხმისას , აშშ -მ გაზარდა თავისი კონტიგენტი, როგორც სამხრეთ კორეაში ასევე იაპონიაში და გარდა ამისა ყველაზე მძლავრ ბაზას კუნძულ გუამზე ფლობს, რომელიც ჩრდილოეთ კორეის სარაკეტო პროგრამის ერთ -ერთ დამაბალანსებელს წარმოადგენს .

აშშ-ის და იაპონიას შორის მჭიდროდ ვითარდება ეკონომიკური თანამშრომლობა, აშშ-ის კომპანიებს გააჩნია უამრავი ინვესტიცია იაპონიაში , თუმცა მათ აქვთ ასევე უარყოფითი სავაჭრო ბალანსი,ამერიკულ და იაპონურ კომპანიაებს შორის ჯენერალ მოტოსსა და ტოიოტას შორის ,არსებული კონკურენციის ფონზე .

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს დავადგინოთ , რამდენად ჭირდება იაპონიას კვლავ აშშ-ის ქოლგის ქვეშ ყოფნა . იაპონია წარმოადგენს ეკონომიკურად მდიდად ქვეყანას, მას დამოუკიდებლადაც შეუძლია იზრუნოს ქვეყნის უსაფრთხოებაზე. იაპონურ საზოგადოებაში არსებობს ის მოსაზრებაც ,რომ აშშ ზღუდავს იაპონიის შესაძლებლობებს და სწორედ ამიტომ იაპონიამ თავისი პოლიტიკა უნდა განახორციელოს დამოუკიდებლად, რათა სათანადო ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო ასპარეზზე.

თემის აქტუალობა: თემაში განხილულია - აშშ-ის მიზნები შორეულ აღმოსავლეთში , იაპონიასთან ურთიერთობის მაგალითზე. თემა აქტუალურია ,რადგან აშშ არ დათმობს თავის პოზიციებს შორეულ აღმოსავლეთში იქიდან გამომდინარე, რომ ამერიკა წარმოადგენს ჰეგემონ ქვეყანას , მისთვის კი მთავარია არ დაკარგოს არსებული სტატუსი, შეინარჩუნოს და უფრო გააძლიეროს , იაპონია მისთვის წარმოადგენ საყრდენს რეგიონში და პოზიციის გამყარებაში იაპონიასთან ურთიერთობა ამერიკისთვის სასიცოცხლოა, მართალია იაპონიის საზოგადოების ნაწილის მოსაზრებით და ასევე არსებული განსხვავებების საფუძველზე

მოსალოდნელია ,რომ იაპონიამ დამოუკიდებლად აწარმოოს საკუთარი საგარეო პოლიტიკა და მას ამის სურვილიც გააჩნია , თუმცა იაპონიის დამოუკიდებლობა, შეიძლება ითქვას, ნაკლებად მოსალოდნელია, რადგან ამას ამერიკა არ დაუშვებს და ყველანაირად ეცდება პოზიცია გაიმყაროს რეგიონში.

  იაპონია წარმოადგენს ერთ-ერთ საშვალებას ამერიკამ გაანეიტრალოს ის ქვეყნები , რომლებიც ცდილობენ ჰეგემონობის მოპოვებას , რუსეთი და ჩინეთი, მსოფლიო კი ამ ქვეყნების გარშემო ტრიალებს , მათი ნებისმიერი გადაწყვეტილება და ურთიერთობა კი ასახვას ჰპოვებს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე, აქედან გამომდინარე თემა აქტუალურია.

საკვლევი კითხვები:

1. რა გეოპოლიტიკური მიზნები გააჩნია აშშ- ს შორეულ აღმოსავლეთში და როგორ თანამშრომლობს იაპონიასთან პრიორიტეტების განმტკიცების მიზნით?
2. რა ძირითადი მსგავსებები და განსხვავებები არსებობს აშშ-იაპონიის ურთიერთობებში ?
3. გაღრმავდება თუ არა აშშ იაპონიას შორის ურთიერთობები არსებული ხელისშემშლელი ფაქტორის მიუხედავად ?
4. რა გავლენას მოახდენს მსოფლიოზე ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების შეცვლა?
5. რა ფაქტორი ითამაშებს გადამწყვეტ როლს აშშ იაპონიის ურთიერთობებში?

ჰიპოთეზა:

  იაპონიის საზოგადოების ნაწილში არსებობს პრეტენზიები აშშ-ს მიერ იაპონიის ტერიტორიაზე სამხედრო დასწრებასთან დააკავშირებით, ამავე დროს, აშშ იაპონიას განიხილავს სტრატეგიულ პარტნიორად შორეულ აღმოსავლეთში და პოზიციების განმტკიცების გარანტად რეგიონში, თავის მხრივ ჩრდილოეთ კორეის აგრესიული

სარაკეტო პროგრამის ფონზე იპონია კვლავ საჭიროებს აშშ-თან ურთიერთობის გაღრმავებას.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის **საგანს** წარმოადგენს აშშ-სა და იაპონიის ურთიერთობებში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები, ასევე მათ ურთიერთობებში არსებული პოლიტიკური თანხვედრა და თანამშრომლობა.

კვლევის **ობიქტს** წარმოადგენს აშშ-იაპონიის ურთიერთობების როლის გავლენა საერთაშორისო უსაფრთხოებაზე, მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებასა და არსებულ საერთაშორისო სისტემაზე.

კვლევის მიზნები და ამოცანები

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენს ისტორილიული ვითარების ფონზე აშშ-იაპონიის თანამედროვე პრიორიტეტული მიმართულებების გამოკვეთა, რამდენად არსებობს იაპონურ საზოგადოებაში მოთხოვნა , რომ იაპონიამ იცხოვროს ამერიკული უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ. აშშ-იაპონია-ს შორის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს ურთიერთობების გაღრმავებას, ასევე იმ ვითარების აღწერა რომელიც არსებობს შორეულ აღმოსავლეთში.

ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის, იაპონია-აშშ, ურთიერთობების ძირითადი მიმართულებების და თანამშრომლობის განსაზღვრას, ასევე იმის განსაზღვრას თუ , როგორ თანამშრომლობს აშშ იაპონიასთან თავისი ინტერესების განსახორციელებლად.

კვლევის მეთოდები:

- ისტორიულ აღწერილობითი
- მონაცემთა ანალიზი

- კონტენტ ანალიზი
- პროცესების შედარებითი ანალიზი
- თვისობრივი კვლევის მეთოდი
- პოლიტიკის კვლევის ანალიზი
- თემის დამუშავების დროს გამოყენებული სავარაუდო მეთოდოლოგია არსებული თეორიული მასალის განხილვა ანალიზი და შეფასება
- აშშ-იაპონიის ურთიერთობებზე ისტორიუოლი მასალების შეგროვება

კვლევის მეთოდოლოგია

აღნიშნული კვლევა ეფუძვნება საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ სხვადასხვა თეორიებს, რომელთაგან გამოვყოფ შემდეგს:

თანამშრომლობითი უსაფრთხოების- აშშ და იაპონია თანამშრომლობს სხვადასხვა სფეროებში , ეკონომიკურ , პოლიტიკურ , თავდაცვის და სხვა. თეორია უკავშირდება ამერიკელ მკვლევარს რიჩარდ კოენს. სახელმწიფოები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ოფიციალური და არაოფიციალური კავშირებით და ინსტიტუტებით, რომელთაც საერთო ფასეულობები გააჩნიათ. აგრეთვე ახორციელებენ თანამშრომლობას სამხედრო საქმეში. რომელიც ასევე უსაფრთხოების სისტემის 4 რგოლს აერთიანებს. აშშ-ის იაპონიაში გააჩნია სამხედრო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფს იაპონიის უსაფრთხოებას , ხოლო თავის მხრივ ეს ბაზები წარმოადგენს ძალას რეგიონში , რომელიც უზრუნველყოფს აშშ-ის გავლენის შესანარჩუნებლას წყნარი ოკეანის სივრცეში.

ურთიერთდამოკიდებულების თეორია - იაპონიას რეგიონში გააჩნია ტერიტორიული დავა სახელმწიფოებთან , როგორც რუსეთთან ასევე ჩინეთთან. თეორიის ავტორები არიან ამერიკელი მეცნიერ რ. ქიოჰანი და ჯ. ნეი, რომელიც ეწინააღმდეგება რეალიზმის სკოლას და გულისხმობს სახელმწიფოს, როგორც საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილის როლი მცირდება და პირიქით იზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების, ტრანსნაციონალური კორპორაციების როლი და

სხვა. რაც მთავარია, თანამედროვე საერთაშორისო სისტემათა სუბიექტები ისე არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, რომ ერთ მთლიანობა ქმნიან, რომლის შენარჩუნება თითოეული მათგანის ინტერესია. იაპონიის ინტერესებში შედის ამერიკასთან პარტნიორობა , რადგან გარანტია უსაფრთხოებისა მოსალოდნელი საფრთხის , რომელიც მომდინარეობს ჩრდილოეთ კორეიდან და ასევე ჩინეთიდან, აშშ-სთვის იაპონიაში სამხედრო ბაზების ფლობა წარმოადგენს პრიიორიტეტს და გავლენის შენარჩუების გარანტს რეგიონსი .

სტრუქტურული რეალიზმი - რაც გულისხმონს იმას ,რომ სახელმწიფოები იბრძვიან ძალაუფლებისთვის და მათ აქვთ თავიანთი მიზეზები ამისთვის. სტრუქტურული რეალისტებისთვის ,საერთაშორისო სისტემის არქიტექტურა , მისი სტრუქტურა აიძულებს სახელმწიფოებს მისდიონ ძალაუფლებას. სისტემაში , სადაც არ არსებობს უმაღლესი ხელისუფლება და არ არსებობს გარანტია იმისა, რომ სხვა სახელმწიფოები არ ჩაერთვებიან კონფლიქტში ერთმანეთთან, ყველა სახელმწიფო ცდილობს იყოს საკმარისად ძლიერი იმისთვის, რომ სხვა სახელმწიფოებმა არ სცადონ მათზე ზეწოლა. მათთვის, ძალაუფლება არის საშუალება გადარჩენისთვის. ძლიერ სახელმწიფოებს კი არ აქვთ სხვა გამოსავალი გარდა იმისა, რომ იბძოლონ ერთმანეთთან ძალაუფლებისთვის. აშშ წარმოადგენს ჰეგემონ ქვეყანას მთელ მსოფლიოში, ამიტომ მის მთავარ მიზანს წარმოადგენს ამ სტატუსის შენარჩუნება და გაძლიერება, რასაც ახერხებს სხვა ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავებით და ამის მეშვეობით იმ ქვეყნის განეიტრალება , რომელიც იბრძვის პირველობისთვის , იაპონიასთან ამერიკა სწორედ ჯერ საბჭოთა კავშირის გასანეირტალებლად, ხოლო შემდეგ ჩინეთის ჰეგემონობის შესაჩერებლად თანამშრომლობს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა:

ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი გამოადგება აშშ-ისა და იაპონიის პოლიტიკის შესწავლით დაინტერესებულ მეცნიერს, პრაქტიკოს ანალიტიკოსს და საერთაშორისო უსაფრთხოების ექსპერტებს. ასევე მისი გამოყენება შესაძლებელია უმაღლესი სასწავლებლების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში. ის შესაძლოა გახდეს გზამკლევი შესაბამისი უწყების (საგარეო საქმეთა სამინისტრო და თავდაცვის სამინისტრო) უსაფრთხოების კონტექსტში

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ავტორების მიერ დაწერილი წიგნები, ასევე ინტერნეტ რესურსი , რომლებშიც მიმოხილულია აშშ-ის მიზნები შორეულ აღმოსავლეთში და აშშ-იაპონიის ურთიერთობების ისტორიულ და საწყის ეტაპზე.

ნაშრომში გამოყენებულია , როგოც უცხოური ასევე ინგლისური წყაროები. კვლევის პროცესში დიდად დაგვეხმარა:

ჩიტაძე ნ. „გეოპოლიტიკა“ თბილისი, „უნივერსალი“ , 2011.- ლიტერატურაში კარგად არის განხილული გეოპოლიტიკური ცნების არსი და გეოპოლიტიკური თეორიები.ავტორი აღწერს გეოპოლიტიკის გავნითარების ისტორიას. წიგნში განხილილია გეოპოლიტიკური სკოლები და მათი გეოპოლიტიკური შეხედულებები. ავტორი წიგნში საუბრობს საზღვაო და სახმელეთო მმართველობის ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელიც ნაშრომშიც გვაქვს გამოყენებული. ავტორი გვეხმარება იმ კონცეფციების გაგებაში , როელიც დაკავშირბულია იპონია-აშშ-ის გეოპოლიტიკური მდგომარეობის განსაზღვრასა და ანალიზში. წიგნსი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გლობალიზაციის ცნებას და მსოფლიო წესრიგს.

ბჟეზინსკი ზბ. „დიდი საჭადრაკო დაფა“. თბილისი, „არტანუჯი“ , 2014.

თაბამედროვე პოლიტოლოგიის კლასიკოსმა, ზბიგნევ ბჟეზინსკიმ თავისი ნაშრომი – „დიდი საჭადრაკო დაფა“, ანუ აშშ-ს ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები – გამოაქვეყნა 1997 წიგნის მიზანი იყო , რომ დაემტკიცებინა ევრაზიის კონტინენტზე აშშ-ის ბატონობა , რაც შეიძლება დიდხანს შენარჩუნდება , ასევე წიგნის მიზანს წარმოადგენდა იმქვეყნების პოლიტიკური ქცევის შესწავლა, რომელთაგან ერთი ან რამდენიმე, კოალიციის სახით შეიძლება წინ აღუდგეს მის ბატონობას კონტინენტზე. წიგნი აღსავსეა რეკომენდაციებით აშშ-ს მთავრობისადმი, რჩევებით, თუ როგორ უნდა შეძლოს იქ ყოფნა და „დიდ საჭადრაკო დაფაზე“ – ევრაზიაზე `საჭადრაკო სვლების“ – პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური მანევრების განხორციელება.

ჯენტლესონი ბ. „ამერიკის საგარეო პოლიტიკა არჩევნის დინამიკა 21-ე

ავტორი ყურადღებას ამახვილებს, როგორც საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის ძირითად საკითხებზე (რა არის აშშ-ის ეროვნული ინტერესები და როგორი პოლიტიკა ესადაგება მათ განხორციელებას ყველაზე მეტად), ასევე საგარეო პოლიტიკის, როგორც პროცესის, საკვანძო საკითხებზე (რა როლი აქვს ამერიკის პოლიტიკური სისტემის ცალკეულ ინსტიტუტებსა და აქტორებს, და როგორია მათი

გავლენა).

წიგნში საფუძვლიანადაა განახლებული/განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, მათ შორის, ობამას ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული საგარეო კურსის ცვლილების შესაბამისად.

გელაშვილი ნანა. იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში.თბილისი, უნივერსალი, 2012

ნაშრომი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოდგენილი და გაანალიზებულია იაპონიაში მიმდინარე პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და იდოლოგიური პროცესები საერთაშორისო ურთიერთობათა სპექტრში. ავტორი არის აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, "შორეული აღმოსავლეთის რეგიონისმცოდნეობის" მიმართულების ხელმძღვანელი, საქართველო-იაპონიი ურთიერთობების ასოციაციის წევრი.

თავი პირველი. აშშ-იაპონიის ურთიერთობები ისტორიულ რეტროსპექტივაში

XX საუკუნემდე იაპონია წარმოადგენდა ჩაკეტილ სისტემას , იაპონიის მმართველები დიდი ხნის განმავლობაში უარს ამბობდნენ ნებისმიერ ურთიერთობაზე უცხოელებთან და ურთიერთობა ჰქონდათ მხოლოდ კორეასთან და ჩინეთთან , რადგან მიაჩნდათ რომ უცხოელები ქვეყანაში შემოიტანდნენ განსხვავებულ კულტურას და წესებს , რაც საფრთხეს შეუქმნიდა და გამოიწვევდა მათი კულტურის და წესჩვეულებების გადაგვარებას , რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო იაპონიისთვის.

იაპონიაში ამერიკელთა საზღვაო ექსპედიცია გაიგზავნა 1853 წელს, რასაც „მშვიდობიანი და მეგობრული ხასიათი ჰქონდა“, ამერიკა თავაზიან ფორმებში ითხოვდა იაპონიის საზღვრების გახსნას სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად. საბოლოოდ, სამხედრო ძალის მუქარის ფონზე 1854 წელს “მშვიდობის და მეგობრობის „ ხელშეკრულება გაფორმდა ორ ქვეყანას შორის. აშშ-მ მიზანს მიაღწია , მან მოახერხა იაპონიის „გახსნა“ დასავლეთისთვის , რამაც „ანსეის“ სახელწოდება მიიღო, რაც მშვიდობას ნიშნავს. ხელშეკრულების თანახმად ამერიკისთვის იხსნებოდა ნავსადგურები შიმოდა და ჰაკოდადე. ამერიკელებისთვის არ ვრცელდებოდა ის შეზღუდვები, რაც ჰოლანდიელებზე და ჩინელებზე ამერიკელებმა მიიღეს გაცვლითი ვაჭრობის უფლება , ასევე იაპონური იენის გვერდით სხვა ფულადი ერთეულიც გაჩნდა მიმოქცევაში, რაც საბოლოო ჯამში უარყოფიდან აისახა ქვეყნის ფულად-საფინანსო სისტემაზე. ამერიკამ მიიღო პრივილიგირებული ქვეყნის სტატუსი იაპონიაში , არახელსაყრელი ამინდის შემთხვევაში ამერიკულ ხომალდებს შეეძლო ნებისმიერ ნავსადგურში შესულიყო. ამერიკისთვის იაპონია სტრატეგიულად მოსახერხებელ ტერიტორიას წარმოადგენდა, როგორც ბაზების განლაგების კუთხით ასევე ვაჭრობის განვითარებისთვის.

ამერიკელების კვალდაკვალ გამოჩნდნენ სხვა ქვეყნებიც , რომელთაც იგივე მოთხოვნა ჰქონდა , რაც ამერიკას , ეს ქვეყნები იყვნენ რუსეთი და ჰოლანდია , რის შედეგადაც დასრულდა იაპონიის ხანგრძლივი იზოლაცია და დაიწყო ახალი ეპოქა ქვეყნისთვის, ის დასავლეთის დიდ ქვეყნებზე უპირველეს ყოვლისა კი აშშ-ზე დამოკიდებული ქვეყანა გახდა.

განსაკუთრებული პრივილეგიების მიღების მიუხედავად ამერიკა მაინც არ იყო კმაყოფილია იაპონიასთან მიმართებაში. გაფორმებული სავაჭრო ხელშეკრულება არ შეიცავდა კონკრეტულ მუხლებს სავაჭრო საკითხებთან დაკავშირებით, რითიც მოხერხებულად სარგებლობდნენ იაპონელები და ხელს უშლიდნენ უცხოელებთან ვაჭრობის მოწესრიგებას. ამიტომ აშშ-მ დააფიქსირა თავისი პრეტენზიები და იაპონიაში მყოფი კონსულის დახმარებით ქვეყანას მოსთხოვა სავაჭრო ხელშეკრულების გაფორმება, რასაც მალევე მიაღწია.

1858 წელს ხელი მოეწერა სავაჭრო ხელშეკრულებას, კერძოდ კი ის ითვალისწინებდა თავისუფალი ვაჭრობისათვის დამატებით 5 ნავსადგურის : კანაგავა, ნაგასაკი, ნიიგატა, ჰიოგო და ოსაკას გახსნას, ასევე იაპონიაში ამერიკელების მუდმივად ცხოვრების უფლებას , იაპონიის გახსნილ ნავსადგურებში შეტანილ ამერიკულ საქონელზე მინიმალური საბაჟო გადასახადის დაწესებას, ხოლო ამერიკული ფლოტისათვის საჭირო საქონლის საერთოდ უბაჟოდ და კონტროლის გარეშე შეტანას, ასე რომ, იაპონიამ ფაქტობრივად საბაჟო ავტონომიის უფლება დაკარგა იქედან გამომდინარე, რომ მას არ შეეძლო წინ აღდგომოდა შემცირებულ ტარიფს. იაპონიის მიერ ექსპორტირებულ ყველა საქონელზე დაწესდა 5%-იანი საბაჟო გადასახადი. სავაჭრო ხელშეკრულება შეეხო ასევე პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებს, კერძოდ აშშ შუამავლის როლში გამოდიოდა იაპონიასა და სხვა სახელმწიფოებს შორის კონფლიქტის აღმოცენების შემთხვევაში. იაპონიის მხარის მიერ ამერიკული სამხედრო ხომალდებისა და იარაღის შესყიდვის თაობაზე შეტანილი იქნა მუხლი ხეკშეკრულებაში, ასევე აშშ-დან სამხედრო სპეციალისტების მიწვევის შესახებ, რის შემდეგაც ერთბაშად დაიწყო მათი მოზღვავება იაპონიაში, ცხადია, ეს ყველაფერი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევას ნიშნავდა.

აშშ იაპონიაში სარგებლობდა გამორჩეულად პრივილეგირებული ქვეყნის სტატუსით. აშშ- იაპონიის 1858 წლის სავაჭრო ხელშეკრულება იყო დოკუმენტი, რომელიც მომდევნო 40 წლის განმავლობაში ორმხრივ ურთიერთობებს განსაზღვრავდა. აღნიშნულ ხელშეკრულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც ერთი, ისე მეორე ქვეყნის პოლიტიკური და სოციალურეკონომიკური პროცესების პრიორიტეტული მიმართულების განსაზღვრაში.

იაპონიაში საზღვრების გახსნამ ძირეული რეფორმების გატარების საჭიროება მოითხოვა. იაპონია ცდილობდა აზიაში შეექმნა ერთი დიდი სახელმწიფო და სათავეში თვითონ ყოფილიყო, მეორე მსოფლიო ომამდე იაპონია აზიაში ამ მიზნით[1] აწარმოებდა ომებს , რაც იაპონიის გამარჯვებით სრულდებოდა . კორეაში ჰეგემონობის მოსაპოვებლად დაუპირისპირდა ჩინეთს , ასევე 1904 წელს ომი წამოიწყო რუსეთთან ორივე ბრძოლა იაპონიის გამარჯვებით დასრულდა. იაპონია დიდებულების ზენიტში იმყოფებოდა მეორე მსოფლიო ომამდე, მან მეორე მსოფლიო ომის პერიოდში თავისი ინტერესები გადაიტანა მალაიზიაზე, ინდონეზიაზე და ფილიპინებზე , ნავთობით მდიდარ ქვეყნებზე, სადაც ამერიკის და დიდი ბრიტანეთის ინტერესები იკვეთებოდა. იაპონია თუ გადაწყვეტტა ამერიკასთან დაპირისპირებას იგი დარწმუნებული უნდა ყოფილიყო რომ ზურგიდან არავინ დაესხმებოდა , ამიტომ მან ხეშეკრულება გააფორმა 1941 წელს საბჭოთა კავშირთან, რაც ითვალისწინებდა ჩაურევლობა, იაპონია ბოლომდე იცავდა ამ ხელშეკრულებას , საბოლოოდ ცალმხრივად რუსეთმა დაარღვია პირობა.

1940 წლისთვის იაპონიას ოკუპირებული ჰქონდა ვიეტნამი, ჩინეთის მესამედი და კორეა,რის გამოც 1941 წელს ამერიკამ იაპონიას ემბარგო დაუწესა მისი გავლენის და ძალის შესასტუსებლად, ბუნებრივი რესურსების არარსებობის გამო იაპონიამ სცადა მოლაპარაკებების წარმოება ამერიკასთან , თუმცა უშედეგოდ , ამერიკა ითხოვდა ჩინეთის სტატუსკვოს აღდგენას , იაპონია ან უნდა შესულიყო ვესტინდოეთში, რომელიც ამერიკის დაქვემდებარებაში იმყოფებოდა ან დაერტყა ამერიკისთვის ,

[1] ნანა გელაშვილი- იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში. გამომცემლობა - უნივერსალი. თბილისი - 2012. გვ.250

თუმცა ორივე შემთხვევაში ომი გარდაუვალი იყო . იაპონიამ ამერიკის განეიტრალება პერლ ჰარბონზე თავდასხმით სცადა, რაც მოულოდნელი აღმოჩნდა ამერიკისთვის , ამერიკის წყნარი ოკეანის ფლოტი ფაქტიურად აღარ არსებობდა , ერთ წელიწადში იაპონიის გავლენის ქვეშ მოექცნენ მთელი სამხრეთ აზია და ჩინეთის მნიშვნელოვანი ნაწილი , რაც რა თქმა უნდა დროებითი იყო, იაპონიის ზეიმი დიდხან არ გაგრძელებულა .

1941 წლის 7 დეკემბერს იაპონელთა თავდასხმა აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტზე ჰერლ-ჰარბორში შეურაცმყოფელი იყო ამერიკელი მოქალაქეებისთვის და ასევე ამერიკელი სამხედროებისთვის , სწორედ ამიტომ უყოყმანოდ დაირაზმნენ ამერიკლი სამხედროები , რათა სამაგიერო მიეზღოდ იაპონელებისთვის, რადგან ეს ამერიკის სირცხვილი იყო. თუმცა საკითხავია ის, რუზველტმა იცოდა თუ არა, რომ იაპონია თავდასხმას გეგმავდა აშშ-ის ფლოტზე. რატომ არ იღონა არაფერი რუზველტმა ამის თავიდან ასაცილებლად? რუზველტს ჭირდებოდა მიზეზი, რომ მეორე მსოფლიო ომში ჩაბმულიყო. 1931 წელს იპონიამ დაიპყრო ჩინეთის პროვინცია მანჯურია,1937 წელს კი ჩინეთის ცენტრალურ ნაწინლში ფართომაშტაბიანი სამხედრო ოპერაცია წამოიწყო, რის ფონზეც ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა დაიძაბა, აშშ-ის გაღიზიანება გამოიწვია სისატიკემ , რომელსაც იაპონია იჩენდა ჩინეთში, ასევე ამერიკის გაღიზიანება გამოიწვია იაპონის და გერმანიის სამხედრო ალიანსის შექმნამ 1940 წელს. ჰიტლერის უძლეველი შეიარაღებული ძალები მთელ ევროპაში გაბატონდნენ და საბჭოთა კავშირისკენ იღებდნენ გეზს. შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე დიდი გავლენა იქონია იმ დროისთვის მსოფლიოში მიმდინარე მეტად მნიშვნელოვანმა პროცესებმა,რის შედეგადაც იგი მოვლენების მიღმა რჩებოდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აშშ-ში ძალზე სკეპტიკურად უყურებდნენ ევროპაში ომში ჩართვის შესაძლებლობას. პოლიტიკური მოძრაობა „ამერიკა უპირველეს ყოვლისა“ საჯაროდ აკეთებდა მწვავე განცხადებებს იზოლაციონიზმის შესახებ, თუმცა პრეზიდენტი რუზველტი ანგარიშს უწევდა ქვეყანაში გამეფებულ ანტისაომარ განწყობას და პირობას დებდა, რომ ქვეყანა ომში არ ჩაერთვებოდა.

რუზველტი დარწმუნებული იყო, რომ დიდი ბრიტანეთის გადარჩენასა და იაპონიის შეჩერებას ამერიკისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მომავალი შეიძლება საშინელი ყოფილიყო, მას შემდეგ, რაც გერმანია საბჭოთა კავშირს გაანადგურებდა, იგი სამხედრო რესურსებს ბრიტანეთის წინააღმდეგ მიმართავდა ან კაპიტულაციას აიძულებდა, ან მიწასთან გაასწორებდა, ეს კი ჰიტლერს მთელი ევროპის ბატონ-პატრონად აქცევდა, მის ხელში აღმოჩნდებოდა აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი, აზია, ინდოეთის საზღვრამდე. ამასობაში გააფთრებული იაპონია წალეკავდა სამხრეთს, რათა ხელში ჩაეგდო შორეულ აღმოსავლეთში დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის ტერიტორიები, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია, ავსტრალია და ახალი ზელანდია, აგრეთვე ბრიტანეთის ინდოეთი. მსოფლიოს დაინაწილებდნენ გერმანია, იტალია და იაპონია, აშშ-ს კი მხოლოდ ამერიკა შერჩებოდა ხელთ. ამ ყველაფრის ფონზე, იაპონიას აშშ-მ შეუმცირა ნავთობისა და სხვა ნედლეულის მიწოდება, რაც სასიცოცხლო იყო იაპონიის ეკონომიკისათვის. ამ გადაწყვეტილებამ ორივე ქვეყანა კონფრონტაციამდე მიიყვანა, დიპლომატიური მოლაპარაკებები ომის თავიდან ასაცილებლად უშედეგოდ დამთავრდა. 1941 წლის 26 ნოემბერს სახელმწიფო მდივანმა, კორდელ ჰალმა იაპონელებს ჩინეთისა და ინდოჩინეთის დატოვება მოსთხოვა. იაპონიას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ამერიკისთვის ომი გამოეცხადებინა. მართლაც, იაპონელებს უკვე მიღებული ჰქონდათ ეს გადაწყვეტილება.

აშშ-ს ორი ფლოტი ჰყავდა: აზიური - ფილიპინებზე და წყნარი ოკეანის - ჰავაის კუნძულ ოაჰუზე, პერლ-ჰარბორთან ახლოს. 1941 წლის ოქტომბერში იაპონიის გენერალურმა შტაბმა მიიღო იაპონიის ფლოტის მთავარსარდლის, ადმირალ ისოროკუ იამამოტოს მიერ შემუშავებული გეგმა, რომელიც მიზნად ისახავდა პერლ-ჰარბორში, აშშ-ის წყნარი ოკეანის ფლოტზე, მოულოდნელ თავდასხმას. სტრატეგიულ ჩანაფიქრს, რომელიც გულისხმობდა ფილიპინებსა და პერლ-ჰარბორზე ერთდროულ თავდასხმას, უნდა გადაეწყვიტა ის მწვავე სამხედრო-საზღვაო პრობლემა, რომელიც რეგიონში იაპონელთა გამარჯვებას ხელს უშლიდა. ნოემბრის ბოლოს იაპონელთა უზარმაზარმა ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელშიც

შედიოდა 6 ავიამზიდი, 24 სამხედრო ხომალდი და წყალქვეშა ნავები, საბრძოლო პოზიციები დაიკავა. 7 დეკემბერს, გამთენიისას, ოპერატიული ჯგუფი კუნძულ ოაჰუს ჩრდილოეთით 320 კილომეტრზე იდგა. დილის 8 საათზე პერლ-ჰარბორის კვირადღის სიმშვიდე 180 „იაპონური ბომბდამშენის გამაყრუებელმა გუგუნმა დაარღვია“.

21 სამხედრო ხომალდის ჩაძირვის და განადგურების გარდა, იაპონელებმა ამერიკელთა 188 თვითმფრინავი დაბომბეს, სანამ მათი უმეტესობა მიწაზე იმყოფებოდა, იაპონელებმა კოორდინირებული თავდასხმებით თითქმის მიწასთან გაასწორეს ფილიპინებზე აშშ-ის საჰაერო ძალები, მაგრამ ყველაზე მეტად პერლ-ჰარბორზე შეტევამ განარისხა ამერიკელები. პრეზიდენტ რუზველტს კონგრესმა [2]მაშინვე მიანიჭა უფლებამოსილება, ომი გამოეცხადებინა იაპონიისთვის, რამდენიმე დღის შემდეგ კი გერმანიამ მოკავშირეთა წინაშე თავი მოვალედ მიიჩნია, აშშ-ისთვის ომი გამოეცხადებინა. პერლ-ჰარბორზე თავდასხმიდან ოთხი დღის შემდეგ აშშ უკვე ორ ფრონტზე იყო ჩართული ომში - გერმანიასა და იტალიასთან, ევროპულ და ჩრდილოეთაფრიკულ საომარ მოქმედებათა არეალში, და იაპონიასთან - წყნარ ოკეანეში. შეიძლება ითქვას პერლ-ჰარბორზე თავდასხმა იაპონელთა უდიდესი შეცდომა იყო, ამით მათ იმპერია განადგურებისთვის გაწირეს.

რუზველტსა და სახელმწიფო მდივან ჰალს გადაუგზავნეს შეტყობინება, შეტყობინებაში გარკვევით იყო ნათქვამი, რომ თავდასხმა მოკლე ხანში მოხდებოდა, მაგრამ სამიზნე მითითებული არ ყოფილა. მეორე დილით, დაახლოებით დილის 9 საათზე ,შეტყობინების ბოლო, დაშიფრული ნაწილი თეთრ სახლში გაიგზავნა, რომელშიც მითითებული იყო, რომ იაპონია აშშ-სთან დიპლომატიურ კავშირს წყვეტდა. ერთი საათის შემდეგ გაიშიფრა კიდევ ერთი, მორიგი შეტყობინება, რომელშიც იაპონიის საელჩოს სთხოვდნენ, მთავარი შეტყობინება ღამის პირველ საათზე გადაეგზავნათ აშშ-ის მთავრობისთვის. პრეზიდენტმა რუზველტმა და მისმა გარემოცვამ კარგად იცოდნენ, რომ პერლ-ჰარბორზე თავდასხმა ახლოვდებოდა. თუ

[2] .“იაპონიის იმპერიის საბედისწერო შეცდომა“ https://www.kvirispalitra.ge/history/10512-iaponiis-imperiis-sabedistsero-shecdoma.html- ნანახია 17.06.2020. გვ.1

ამ მოვლენებს კარგად დავაკვირდებით, უამრავ სამხილს აღმოვაჩენთ, რომ პრეზიდენტ რუზველტს სურდა, აშშ გერმანიასთან ომში, რაც შეიძლება მალე ჩართულიყო. თუმცა ისიც კარგად იცოდა, რომ ამას ვერ გააკეთებდა მანამდე, სანამ ამერიკელი ხალხი არ აღიარებდა, რომ ომი აუცილებელი იყო. მხოლოდ ამერიკისადმი აგრესიას შეეძლო ამერიკელი ხალხის გაერთიანება. რუზველტის მცდელობამ, ინგლისისთვის მხარდაჭერის გამოცხადებით პროვოკაციაზე წამოეგო ჰიტლერი, რათა მას აშშ-ისთვის ომი გამოეცხადებინა, შედეგი ვერ მოიტანა. სამაგიეროდ, ამ მიზნის მისაღწევად ჰიტლერისა და იაპონიის ალიანსის გამოყენება სცადეს.

რუზველტმა იაპონიის შეცდომით კარგად ისარგებლა, რათა ჩართულიყო ომში. თავდასხმის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ჰიტლერი იფიქრებდა, რომ აშშ დასუსტებული იყო და იაპონიასთან დადებულ გარიგებას შეასრულებდა. აშშ-მ სწორედ ამ მიზნით გაწირა ჰერ-ჰარბორში მყოფი ადამიანები, რომ ჩართულიყო მეორე მსოფლიო ომში და არ დაეშვა სხვა ქვეყნების ჰეგემონობა მსოფლიოში , ამერიკას ჰქონდა თავისი ამბიციები , მართალია ის ნეიტრალური ქვეყნის სტატუს ინარჩუნებდა , თუმცა მისი მიზნები ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იკვეთება ,ვაშინგტონის კონფერენციაზე, რომელიც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იყო მიმართული.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ უნდა მოქცეულიყო ასე რუზველტი, აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ზოგიერთის მტკიცებით, რუზველტი ისე იყო შეძრწუნებული იმით, რომ შეიძლებოდა გერმანიასა და იაპონიას მსოფლიო ჰეგემონია მოეპოვებინათ, მზად იყო ყველაფერი გაეკეთებინა ომში ამერიკის ჩასაბმელად. თუ მიზნის მისაღწევად ერთადერთი საშუალება პერლ-ჰარბორის მსხვერპლად შეწირვა იყო, ასეც უნდა მომხდარიყო. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც ირწმუნებოდნენ, რომ რუზველტი გულის სიღრმეში კომუნისტი იყო და აშშ-ის ომში ჩართვით საბჭოთა კავშირის გადარჩენა უნდოდა.

საბოლოო ჯამში იაპონიის გამარჯვებით დამთავრდა ჰერ-ჰალბონზე თავდასხმა , მაგრამ , რა თქმა უნდა , ეს იყო დროებითი , ამერიკის მიზნები უფრო დიდი იყო

ვიდრე ჰერლ-ჰალბონზე გამარჯვება.

1943 წელს იაპონიის შევიწროება დაიწყო მოკავშირეებმა , მთავარ ძალას კი ამერიკა წარმოადგენდა. 1944 წლისთვის იაპონიამ თითქმის მთლიანად დაკარგა წყნარ ოკეანეში და სამხრეთ აზიაში დაკავებული ტერიტორიები , მიუხედავად იაპონელების თავდადებისა, იალტაში გამართულ კონფერენციაზე მოკავშირეებმა ერთობლივად შეუტიეს იაპონიას, სსრკ-მა ცალმხრივად დაარღვია ჩაურევლობის ხელშეკრულება, რომელიც 1941 წელს დაიდო, ამერიკამ იაპონიის ერთიანად განადგურების მიზნით 6 აგვისტოს ატომური ბომბი ჩამოაგდო ჰიროსიმაში , 9 აგვისტოს კი ნეგაჰასში , დაიღუპა უამრავი მშვიდობიანი მოქალაქე,საბოლოოდ კი იაპონიას დანებება მოუწია. იაპონელმა მოქალაქეებმა პირველად გაიგეს იმპერატორის ხმა , იმპერატორმა რადიოს მეშვეობით მიმართა იაპონელ მოქალაქეებს:

„ჩვენ ერთგულ და კეთილმოსურნეებს: თანამდეროვე მსოფლიო ტენდენციების და ჩვენი იმპერიის მდგომარეობის ღრმა გააზრების შედეგად,გადავწყვიტეთ მივიღოთ ექსტრაორდინალური ზომები. მე ბრძანება გავეცი, რომ ჩვენი ქვეყანა დაუკავშირდეს აშშ-ის ,დიდი ბრიტანეთის, ჩინეთის და საბჭოთა კავშირის მთავრობებს და დათანხმდეს მათ საერთო დეკლარაციებში გაწერილ პირობებს“.

იაპონიის კაპიტულაციას ხელი მოეწერა 1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიის მიერ, ხელშეკრულება მომზადებული იყო შეერთებული შტატების საბრძოლო დეპარტამენტის მიერ , რაც დადასტურებული იყო პრეზიდენტ ჰარი ტრუმენის მიერ. ამ დოკუმენტის მიხედვით, იაპონია აცხადებდა უპირობო კაპიტულაციას. იაპონია თანხმდებოდა შეესრულებინა პოდსდამის დეკლარაციით დადგენილი ყველა ვალდებულება, რაც ასევე მოიცავდა ჩინეთისთვის კუნძულების სენკაკუს და დიაოიუ დაოს დაბრუნების ვალდებულებას, რაც დღესაც კონფლიქტის მიზეზს წარმოადგენს ორ ქვეყანას შორის. იაპონიის ამ გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია აშშ-ის მიერ ატომური ბომბის გამოყენებამ ქვეყანაში.

შეერთებული შტატების ჩართულობა დოკუმენტის შემუშავებაში, გვიდასტურებს იმას , რომ აშშ იაპონიის საკითხებში ყოველთვის დიდ როლს ასრულებდა. აღნიშნულ

პერიოდში აშშ ჯერ კიდევ მეტოქედ მიიჩნევდა იაპონიას, თუმცა შემდგომში უკვე აშშ-იპონია პარტნიორ ქვეყნებად იქცნენ, აშშ პასუხისმგებელი გახდა იაპონიის უსაფრთხოებაზე.

1.2 აშშ-იაპონიის ურთიერთობები 1945-1952 წლებში- ამერიკული ოკუპაცია

იაპონია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განადგურებული იყო , მოიშალა ეკონომიკა , დაკარგა ყველა კოლონია , ქვეყანამ მიიღო დევნილთა უზარმაზარი ნაკადი, საბჭოთა კავშირი ერთადერთი იყო , რომელმაც მიითვისა იაპონიის ტერიტორიები და ასევე ისტორიის მანძილზე იაპონიამ პირველად განიცადა ოკუპაცია.

1945-1952 წლებში აშშ-ის ოკუპაციის ქვეშ იყო იაპონია , ქვეყნის დეპაქტო მმართველი იყო ამერიკელი გენერალი მაკარტუნი, რომელმაც დიდი როლი ითამაშა იაპონიის ეკონომიკის და სახელმწიფოს აღდგენაში . ოკუპაცია დასრულდა 1951 წელს, როდესაც სანფრანცისკოში გაფორმდა ხელშეკრულება და მოიხნა საოკუპაციო რეჟიმი, თუმცა იაპონია დიდხანს დარჩა ამერიკაზე დამოკიდებული.

იაპონიას, როგორც დამარცხებულ სახელმწიფოს, მრავალი სასჯელი უნდა დაკისრებოდა , მაგრამ ამერიკის წყალობით სასჯელი არც ისე მძიმე იყო,

შეიძლება ითქვას სასჯელი შეიცვალა იაპონიის აღდგენითი სამუშაოების წარმოებით, რაც ამერიკის რბილი პოლიტიკის გატარებით იყო გამოწვეული. ჩვენ კვლევაში შევეცდებით დავადგინოთ თუ რა იყო რეალური ინტერესები ამერიკის იაპონიაში , როგორ განვითარდა და განვითარდება მათ შორის ურთიერთობები, მანამდე კი შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ თუ რა ნაბიჯები გადადგა აშშ-მ იაპონიაში ოკუპაციის პერიოდში და რა შედეგები მიიღო.

როგორც ავღნიშნე, ამერიკამ რბილი პოლიტიკა განახორციელა იაპონიაში ამის მიზეზი კი იყო, ის რომ ამერიკას სურდა ჰყოლოდა მოკავშირე და მტკიცე დასაყრდენი შორეულ აზიაში საბჭოთა კავშირის მოსაგერიებლად , მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ამერიკამ იაპონიას კომუნიზმის შეკავებაში მნიშვნელოვანი როლი დააკისრა. 1951 წელს ეს როლი გამყარდა ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულებით, რომელსაც ხელი სან-ფრანცისკოში მოეწერა, ხოლო 1960 წელს უფრო გამყარდა ორმხრივი თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ხელშეკრულების გაფორმებით , რამაც გაზარდა იაპონიის როგორც სრულფასოვანი მოკავშირის სტატუსი.

მოკავშირეებმა გაანადგურეს იაპონია , გააფორმეს პოდსდამის დეკლარაცია , რის მიხედვითაც იაპონიას დაუწესდა შეზღუდვები. პოდსდამის დეკლარაციის მიხედვით აშშ-მ, ჩინეთმა და დიდმა ბრიტანეთმა იაპონიას წაუყენა დანებების ულტიმატუმი, ძირითადი მოთხოვნები კი იყო :

- უნდა აღმოფხვრილიყვნენ სამხედრო აქტორები , რომელთაც იაპონია მოცემულ მდგომარეობამდე მიიყვანეს , რათა დამყარებულიყო მშვიდობა, უსაფრთხოება და სამართალი.
- იაპონელი ჯარისკაცები განიარაღების შემდეგ სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ.
- გასამართლებულიყვენ ომის დამნაშავეები და აღმოფხვრილიყო ყველა წინაღობა, რაც ხელს შეუშლიდა იაპონიაში დემოკრატიული ცენტრების აღდგენა-გაძლიერებას, უნდა დამყარებულიყო ადამიანის უფლებათა პატივისცემა, სიტყვის, რელიგიის და აზრის თავისუფლება
- იაპონიას უფლება ეძლეოდა გაეგრძელებინა ქარხნების გარკვეული ნაწილის ექპულატაცია ეკონომიკის შესანარჩუნებლად, ეკრძალებოდა ისეთი ქარხნების შენარჩუნება, რომლებიც იაპონიას მისცემდა კვლავ შეიარაღების საშვალებას ,

ეკრძალებოდა ასევე ნედლი მასალების მიღება და საერთაშორისო ვაჭრობის წარმოება.[3]

- საოკუპაციო ძალები დატოვებენ იაპონიას , როცა მიიღწევა ეს მოთხოვნები და იაპონელი ხალხის მიერ თავისუფლად გამოხატული სურვილის მიხედვით აირჩევა მშვიდობიანი და პასუხისმგებლობით აღჭურვილი მთავრობა.

ოკუპაციის ჟამს მნიშვნელოვანი იყო ქვეყნის პროგრესული მიმართულებით წაყვანა და დემოკრატიზაციის გზაზე დაყენება, რაც როგორც თავად დეკლარაციიდან ჩანს იაპონიისთვის არ იყო სიახლე. სამხედრო საფრთხის აღმოფხვრაზე ზრუნვა კი ლოგიკურია. უნდა ავღნიშნოთ ის ფაქტიც , რომ ამერიკელმა გენერალმა დუგლას მაკარტურმა სწორად გაიაზრა იმპერატორის, უდიდესი როლი იაპონელების ცხოვრების აღქმაში და ასევე ის თუ, რამდენად სარგებელის მომტანი შეიძლება ყოფილიყო ოკუპანტი ხელისუფლების მიერ იმპერატორის პიროვნების გამოყენება ახალი კამპანიის წარმართვაში. გენერალმა მაკარტურმა საკმაოდ ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღო იმპერატორის შენდობით და მისთვის გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებით ,იმპერატორი ფაქტიურად ამერიკის მარიონეტის როლს ასრულებდა იაპონიაში ხალხის შეუმჩნევლლად, რამაც ქვეყანაში ხელი შეუწყო დემოკრატიული რეფორმების გატარებას და კონსტიტუციის მიღებას. ამერიკელების მთავარ ამოცანას [4] წარმოადგენდა იაპონიის მიერ ამერიკის და მსოფლიო მშვიდობის წინააღმდეგ შესაძლო საფრთხის აღმოფხვრას და პასუხისმგებლობით აღჭურვილი მთავრობის ჩამოყალიბება, რომელიც პატივს სცემს სხვა სახელმწიფოს და მხარს უჭერს ამერიკის შეერთებული შტატების მიზნებს , რომელიც ასახულია გაერთიანებული ერების ქარტიაში. იაპონიას არ უნდა ჰქონოდა რაიმე საწინააჭმდეგო ,რადგან იაპონიაც ცდილობდა მსგავსი ცვლილებების განხორციელებას , იაპონიის და აშშ-ის მიზნები თანხვედრაში მოდიოდა

[3] . „დიპლომატიური სამზადისი „დიდი სამეულის“ მორიგი სამიტის მოსაწყობად და პირველი კონტაქტები იალტაში“. http://umurgulia82.blogspot.com/2018/07/1945-4-11.html-ნანახია- 12.06.2020.გვ.1

[4] . გელასშვილი ნანა. იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში. გამომცემლობა უნივერსალი. თბილისი- 2012. გვ. 279

ერთმანეთთან. ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა კი იყო იაპონიის კონსტიტუცია , რომელიც შეიცვალა 4 პრინციპის მიხედვით:

- არ განეხორციელებინათ არავითარი ცვლილებები სუვერენიტეტის გაგებასთან დაკავშირებით რომელიც იმპერატორშია გამოხატული.
- უნდა გაზრდილიყო პარლამენტის უფლებამოსილება და ძალაუფლება და დაწესესებულიყო შეზღუდვები იმპერატორის პრეროგატივაზე ამდენად მისი ძალაუფლება შეიზღუდებოდა.
- სახელმწიფოსთან მიმართებაში არსებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით მინისტრები პასუხისმგებელნი უნდა ყოფილიყვნენ პარლამენტის წინაშე და არა იმპერატორის წინაშე როგორც ეს ადრე იყო.
- პიროვნების უფლებები და თავისუფლებები კიდევ უფრო მეტად უნდა გამყარებულიყო და დაცულიყო შესაძლო დარღვევების საწინააღმდეგოდ

ახალმა კონსტიტუციამ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია იაპონურ ხელისუფლებებს შორის, იაპონია არ იყო მზად ამდენად დემოკრატიული და პროგრესული კონსტიტუციისთვის. იაპონიის მთავრობის წარმომადგენლებმა დიდი სურვილი გამოთქვეს შაბლონის კარგად გააზრებასა და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებების შეტანის შესახებ, თუმცა მაკარტური ჩქარობდა საბოოლოო გადაწყვეტილების მიღებასა და კონსტიტუციის დამტკიცებას. 1946 წლის 6 მარტს შაბლონის ძირითადი შინაარსი დაიბეჭდა გაზეთებში. 1947 წელს ძალაში შევიდა შეცვლილი კონსტიტუცია. კონსტიტუციაში ყველზე მნიშვნელოვან მუხლს წარმოადგენდა მუხლი 9[5]

- ცხადად იღწვის რა სამართალსა და წესრიგზე დაფუძვნებული საერთაშორისო მშვიდობისთვის , იაპონელი ხალხი, როგორც ერის სუვენერულ უფლებაზე,

[5] იაპონიის კონსტიტუცია.გვ.3 https://www.ge.emb japan.go.jp/files/japan_fact_sheet/Constitution%20of%20Japan.pdf. ნანახია 20.02.2020

სამუდამოდ უარს ამბობს ომზე და ძალის გამოყენებაზე საერთაშორისო კონფლიქტების მოსაგვარებლად.

- წინა პარაგრაფის განსახორციელებლად , სახმელეთო , საზღვაო და საჰაერო ძალები, როგორც საომარი პოტენციალი, აღარასდროს იქნება შენარჩუნებული, ამასთანავე სხვა ყვეყანაზე აგრესია არ იქნება შენარჩუნებული.

იაპონიის კონსტიტუციის პაცეფისტური ხასიათი მის მეცხრე მუხლში გამოიხატა. შეთანხმების მიხედვით, ომი როგორც საერთაშორისო ურთიერთობების დარეგულირების ინტრუმენტი იკრძალებოდა. კონსტიტუციის მეცხრე მუხლი იყო უნიკალური ჩანაწერი , რომელმაც იაპონია მსოფლიოში ერთადერთ „მშვიდობის სახელმწიფოდ“ აღიარა. აღსანიშნვია ის ფაქტიც, რომ მიუხედავად კონსტიტუციის მეცხრე მუხლისა კორეის ომის დაწყების წინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იაპონიას უფლება მისცა ეროვნული საპოლიციო რეზერვი შეექმნა , რომელიც მალევე 1954 წელს ეროვნული თავდაცვის ძალებად გადაკეთდა , ფორმალურად იაპონიის თავდაცვითი ძალები დღემდე საპოლიციო ძალების გაგრძელებად რჩება, რომელთაც მკაცრად ქვეყნის თავდაცვითი როლი აკისრია და მონაწილეობას არ ღებულობს სამხედრო კონფლიქტებში, თუმცა ცივი ომის დასრულების შემდეგ გაეროს სხვადასხვა მისიებში ღებულობდნენ მონაწილეობას.

ამერიკამ კარგად გაიაზრა , რომ იაპონია აღარ წარმოადგენდა მის მოწინააღმდეგეს, ის მეტად დასუსტებული იყო ,იმისთვის, რომ საფრთხე გამოეწვია , სწორედ ამიტომ , ამერიკამ , ,იაპონია აქცია ქვეყნად , რომელიც დამოკიდებული იქნებოდა მასზე , იაპონია ტერიტორიულად სტრატეგიულ ქვეყანას წარმოადგენდა, რისი წყალობითაც ამერიკა იოლად შეძლებდა თავისი ინტერესების გატარებას რეგიონში, სწორედ ეს იყო მიზეზი რბილი პოლიტიკის გატარების ქვეყანაში და შეიარაღებული ძალების ყოლის აკრძალვა,, რათა არ მომხდარიყო შესაძლო უკმაყოფილება და აჯანყება.

1.3 ამერიკული ოკუპაციის მიერ გატარებული რეფორმები და მისი შედეგები

ამერიკამ მრავალი მნიშვნელოვანი რეფორმა განახორციელა იაპონიაში ქვეყნის დემოკრატიზაციისთვის, რეფორმებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა თანამედროვე იაპონიის ჩამოყალიბებაში, თუმცა იმდროინდეი ხლისუფლება, რომელიც დამარცხებული ქვეყნის მთავრობას წარმოადგენდა უპირობო კაპიტულაციით, სიხარულით არ შეხვედრია მრავალ ცვლილებას, გარკვეულ რეფორმებზე ოკუპაციურმა და ადგილობრივმა მთავრობებმა შეთანხმებას მიაღწიეს, მაგალითად მიწის რეფორმაზე, რომელიც საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო , მიწის რეფორმის საშუალებით აღმოიფხვრა ფაქტობრივად დრომოჭმული ფეოდალური წესწყობილება, დიდი წარმატებით ჩაიარა ამ რეფორმამ ,რადგან ამის მოსურნე იყო არამარტო ამერიკა, არამედ იაპონიაც. 1947-48 წლებში მესაკუთრეთა მიერ დამუშავებული მიწის რაოდენობამ პროცენტულად გაიზარდა 55,7 % -დან 88,95 % -მდე , რამაც შექმნა სტაბილური სასოფლო სამეურნეო გარემო ომის შემდგომ იაპონიაში, რიგ ცვლილებებს იაპონიის მხრიდან შოკი მოჰყვა , მაგრამ საბოლოოდ მაინც მიიღეს, როცა გაიაზრეს მათი საჭიროებები და სარგებელი.

გენერალი მაკარტური ამერიკიდან მიღებული მითითებების მიხედვითა და დემოკრატიის დამყარების სურვილით მოქმედებდა, მის ირგვლივ შეკრებილი გუნდისთვის კი იაპონია იყო ახლად აღმოჩენილი ამერიკა, სადაც სურდათ ახალი პროგრესული სახელმწიფოს შექმნა , გუნდმა საკმაოდ კარგად გაართვა თავი წამოჭრილ ამოცანებს, გატარდა მრავალი მნისვნელოვანი ცვლილება, ეს იყო ცვლილება განათლების სფეროში სახელმძღვანელოებიდან ამოიღეს სამხედრო და საომარი მოქმედების შემცველი ტექსტები და სურათები, გაუქმდა ცენზურა, რის შედეგადაც კვლავ აღმოცენდნენ დახურული თუ ახალი გამომცემლობები, შეიცვალა კინო ინდუსტრია , გაჩნდა მეტად თავისუფალი სცენები და იდეების გამოხატვაც თავისუფლად გახდა შესაძლებელი აღარ იყო საჭირო მოტივების გამოყენება. გაჩნდა

უფრო მეტად რომანტიული ფილმები, წინ წამოვიდა ქალის თემა და მთავარ პერსონაჟებად მრავალ ფილმში სწორედ ქალები და მათი პრობლემები თუ მისწრაფებები წარმოგვიდგა. დაიწყო ჰოლივუდის ფილმების მოზღვავება და შემოდინება ,რაც ხელს უწყობდა კულტურათა ასიმილაციას და ამ ორი ერის დამეგობრებას. სიძულვილი მოდიოდა მთავრობიდან , მაგრამ ომით დაღლილი და გატანჯული მოსახლეობა დიდი ინტერესით იღებდა უცხო ხილს -ამერიკულ პოპკულტურას, ჩნდებოდნენ შერეული ოჯახებიც. მუშათა ცხოვრების დონის და სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად შეიქმნა ეგრეთ წოდებული „პროკკავშირები“ დაიშვა სიტყვის თავისუფლება და მასთან საპროტესტო დემონსტრაციები. თუმცა ასეთმა თავისუფლებამ მაკარტურის ოკუპაციურ მთავრობას არასასურველი შედეგი მოუტანა კომუნისტებისა და სოციალისტების გააქტიურებით, დემონსტრაციებთან დაკავშირებით კვლავ შეზღუდვები დაწესდა.

1947 წელს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იყო ქალის როლის წინ წამოწევა და ყოველი მოქალაქისთვის თანაბარი უფლების მინიჭება კანონის წინაშე „დემოკრატიის შუქურაც“, სახელმწიფო რომელიც უხეშად ერევა სხვა სახელმწიფოს სისტემაში , მასში ცვლილებების განხორციელების ღირსად მიიჩნევს თავს, არ არის სრულყოფილი , თუმცა მნიშვნელოვანი და სასიკეთო ცვლილებები განახორციელა.

ამერიკული ოკუპაციის გაცხადებული მიზნები იაპონიაში იყო აზროვნების შეცვლა მშვიდობის დამყარება, დემილიტარიზაცია და დემოკრატიზაცია, დემილიტარიზაციამ გამოიწვია იაპონიის უსაფრთხოების დამოკიდებულება ამერიკაზე და იაპონიის მოდუნება საგარეო პოლიტიკის წარმოებაში. უმეტეს შემთხვევაში, იაპონია გვევლინება ამერიკის ინტერესების მხარდამჭერად და გამტარებლად აზიის რეგიონში, მაგრამ როდესაც სან ფრანცისკოს კონფერენციის შემდეგ დასრულდა გაერთიანებული ძალების მიერ იაპონიის ოკუპაცია და იგი განთავისუფლდა ამერიკის პირდაპირი გავლენისგან, იაპონია იძულებულია დამოუკიდებლად აწარმოოს საგარეო ურთიერთობები. იაპონია მეტად იყო გართული საშინაო პრობლემებით და საგარეო პოლიტიკაში ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, ზედმეტი პრობლემების თავიდან ასაცილებლად,

ამერიკამ მოუწოდა იაპონიას თავად ეზრუნა თავდაცვაზე , მთავარი მიზანი კი ის იყო რომ საბჭოთა კავშირისგან მომავალი საფრთხის წინაშე მარტო ყოფილიყო. იაპონია ძალიან ნელ-ნელა იღდგენდა სამხედრო ძალებს , რადგან იმ დროისთვის მისთვის მთავარი ეკონომიკური მდგომარეობა იყო. იპონიამ შეძლო ოკუპაციის დროს ეკონომიკურად დამდგარიყო ფეხზე.

ამერიკამ იაპონიას უცხოური დახმარების სახით 1945-49 წლებში 1.6 მილიარდი დოლარი გამოუყო ფულის სახით, რამაც იაპონიას ფულის მასის მეტად გაზრდის საშუალება მისცა. იაპონიას რამენაირად უნდა ამოეღო ეკონომიკური ზიანი , ამერიკას ძალიან კარგად ესმოდა, რომ იაპონიას თუნდაც ტექნოლოგიური განვითარების თვალსაზრისით ძალიან დიდი პოტენციალი ჰქონდა, ამიტომ აიძულეს იაპონიის მმართველი ძალები , რომ ოლიგარქიული კლანები , რომლებიც აფერხებდნენ ქვეყის აღორძინებას გაეშვათ მმართველობის სათავეებიდან.

იაპონიამ დაიწყო თავისუფალი ბაზრის შექმნაზე ფიქრი, რა თქმა უნდა, ამერიკის დახმარებით და ინიციატივით , თავისუფალი ბაზრის წარმოებაში მოიაზრებოდა იმ ქვეყნებთან ურთიერთობის დამყარება , რომლებიც რეგიონს გარეთ , სხვა სივრცეში იყვნენ, ამ ნაბიჯმა იაპონიის ეკონომიკური მდგომარეობა მკვეთრად გააუმჯობესა და ქვეყანაში დაიწყო უცხოური კაპიტარილის შემოდინება ამ სახის რეფორმებმა იაპონიას გზა გაუხსნა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და გაერთიანებებში გაწევრიანებისკენ.

1949 წელს იაპონია ამერიკის მიერ კონტროლირებად ახალ საერთაშორისო სისტემაში ჩაება. ამერიკული სამხედრო დანიშნულების მატერიალურ ტექნიკური მომარაგების შედეგად მისი სამხედრო მექანიზმი კვლავ გამოაცოცხლა და საბოლოოდ 1951 წელს სამრეწველო წარმოებას ომამდელ პერიოდს გადააჭარბა.

ამერიკულმა ოკუპაციამ შეიძლება ითქვას იაპონია დემოკრატიის გზაზე დააბრუნა, კვლავ შეიტანა დასავლეთის ღირებულებები და ხელი შეუწყო იაპონიის ეკონომიკურ წინსვლას და განვითარებული ქვეყნების სიაში მოხვედრას. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამერიკამ გადაარჩინა იაპონია გაწითლებას, ამერიკამ იაპონიის სახით

მნიშვნელოვანი პარტნიორი შეიძინა აზიის რეგიონში, ეს პარტნიორი კი საიმედო იყო, რასაც მოჰყვა 1952 წელს გაზაფხულამდე იაპონიის სუვერენიტეტის აღდგენა .

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სწორედ ამერიკის დახმარებით იაპონიამ ეკონომიკურ სასწაულს მიაღწია. იაპონელები წელიწადში 5 ტრილიონ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელს და მომსახურებას ქმნიან, ამ მაჩვენებლით მხოლოდ აშშ-ს და ჩინეთს ჩამორჩება. ქვეყანაში 126 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ერთი მოქალაქის საშუალო წლიური შემოსავალი 44 000 აშშ დოლარია. ამ მაჩვენებლით მსოფლიოშო 24-ე ადგილზეა და უსწრებს ისეთ ქგვეყნებს, როგორებიცაა: იტალია, პორტუგალია, ესპანეთი, ჩეხეთი , საუდის არაბეთი და სხვა.

იაპონიის სამუშაო ძალის ნახევარი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული. 1950-73 წლებში იაპონიის ეკონომიკა წლიურად საშუალოდ 9.2%-ით იზრდებოდა, რასაც მოგვიანებით „ იაპონიის ეკონომიკური სასწაული „ უწოდეს. ყველაზე მაღალი წვლილი ასეთი ტემპის ტექნოლოგიურ პროგრესს შეჰქონდა. 1970 წელს იაპონიის ეკონომიკა მხოლოდ აშშ-ის ჩამორჩებოდა, მან ევროპის ძლიერ ქვეყნებს საფრანგეთს და დიდ ბრიტანეთს გადაასწრო.[6]

1949 წელს იაპონიამ მონეტარული რეფორმა გაატარა, ინფლაცია შეამცირა, იენი კი ფიქსირებული კურსით დოლარს მიაბა, რომელიც 1973 წლამდე შენარჩუნდა. დაბალინფლაციური მყარი ვალუტა ეკონომიკური წარმატების მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო. იაპონიის ეკონომიკაში დიდი წვლილი შეიტანა კორეის ომმა 1950-1953 წლებში. იაპონია და აშშ უკვე წარმოადგენდნენ მოკავშირეებს, რომელიც სამხრეთ კორეის მხარეს იბრძოდნენ. აშშ პროდუქციას იაპონიისგან ყიდულობდა. ქვეყნის ექსპორტი 70%-ით გაიზარდა. ასევე აშშ იაპონიისგან ყიდულობდა ტექნიკას, აშშ-მ ბევრ დასავლურ კომპანიას მიცა ბიძგი დაეწყო ინვესტიციების ჩადება, რასაც ტექნოლოგიები შედინება მოჰყვა ქვეყანაში. მანამდე იაპონია მკვეთრად ჩამორჩებოდა ტექნოლოგიური განვითარებით აშშ-სა და ევროპას.

[6] როგორ გამდიდრდა იაპონია. გვ.1 https://forbes.ge/blog/417/rogor-gamdidrda-iaponia%3F-ნანახია 20.02.2020

იაპონია არ იყო გამორჩეული გამომგონობლობით და საკუთარი, ახალი ტექნოლოგიების შექმნით. ის სხვა ქვეყნებიდან შემოსულ ტექნოლოგიებზე აწყობდა წარმოებას, უმრავლეს შემთხვევაში უკეთეს შედეგს აღწევდა, ვიდრე ტექნოლოგიის შემქნელ ქვეყნებს ჰქონდა. ამასთან დასავლეთიდან დემიტარიზაციის მოთხოვნა, იაპონიას ეხმარებოდა თავისი რესურსები საყოფაცხოვრებო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების წარმოებაში მიემართა.

შეიძლება ითქვას ,იაპონია ვერ მიაღწევდა „იაპონურ სასწაულს“, რომ არა იაპონელი ხალხის მენტალობა. ეს იყო და არის შრომისმოყვარე, მაღალი სამუშაო დისციპლინის მქონე ხალხი. მათთვის პატიოსნად, კარგად მუშაობა ღირსების საქმეა.განსაკუთრებული ღირსეული დამოკიდებულებაა მაღალი რანგის მენეჯერებსა და დაბალი რგოლის მუშებს შორისაც კი. იაპონიაში დასაქმებულებს ხშირად სიცოცხლის ბოლომდე კონტრაქტს უფორმებენ. დასაქმებული კომპანიას თავის ოჯახად აღიქვამენ. სამუშაო კი არ აზარმაცებთ, პირიქით, შრომის სურვილს და უნარს მატებთ. საბოლოო ჯამში იაპონიამ მართლა სასწაული შეძლო, პოლიტიკურად და ეკონომიკურად გაკოტრებული ქვეყანა 25 წელიწადში მსოფლიოს რიგით მეორე ეკონომიკა გახდა აშშ-ის შემდეგ.

მართალია ომმა ძლიერ დააზარალა ქვეყანა , დააქვეითა არსებული მდგომარეობდა , თუმცა მან შეძლო ომის შემდეგ კვლავ დამდგარიყო ფეხზე აშშ-ის დახმარებით, მართალია იგი შეზღუდულია შეიარაღებული ძალების ქონით, თუმცა ქვეყანამ შეძლო ეკონომიკურად ფეხზე დადგომა და მოწინავე ქვეყნად ქცევა, ეკონომიკა კი პირველი გარანტია ქვეყნის წინსვლის.

მეორე თავი . აშშ-ის ინტერესები წყნარი ოკეანის სივრცეში

შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაა მისი ურთიერთკავშირი უცხო ქვეყნებთან და ის თუ როგორ ადგენს ურთიერთქმედების სტნდარტებს მისი ორგანიზაციების, კორპორაციებისა და შეერთებული შტატების სისტემას მოქალაქეებისთვის. აშშ-ის ოფიციალურად განსაზღვრული მიზანი არის ის, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში ნახსენებია „აშენება და შეინარჩუნოს უფრო დემოკრატიული, უსაფრთხო და აყვავებული სამყარო ამერიკელი ხალხის და საერთაშორისო საზოგადოების სასარგებლოდ“ , ასევე აშშ-ს საგარეო საქმეთა კომიტეტმა განიხილა მათი იურიდიქციის ზოგიერთი მიზანი , საექსპორტო კონტროლი მათ შორის ბირთვული ტექნოლოგიისა და ბირთვული აპარატურის არაპროფესტაციის ჩათვლით. აშშ-ის საგარეო პოლიტიკის და დახმარების გატარება დიდი დისკუსიის ქებისა და კრიტიკის საგანი გახდა, როგორც ამერიკაში ასევე მის საზღვრებს გარეთ.

შეერთებული შტატების სტრადეგია მდგომარეობს იმაში, რომ უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მდგრადი მნიშვნელობის დამყარება ნიშნავს დემოკრატიის წინსვლის მიღწევას სხვაგან, „დემოკრტები არ ესხმიან ერთმანეთს“. აშშ-ის სახლმწიფო დეპარტამენტის მიერ ნახსენები მოსაზრების თანახმად, დემოკრატია ასევე კარგია ბიზნესისთვის. აშშ არის უდიდესი იმპორტიორი და სიდიდით მეორე ექსპორტიორი ქვეყანა.

ამერიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს, ის რომ ჰეგემონ ქვეყნად დარჩეს და არ დაკარგოს არსებული სტატუსი, სტატუსის შესანარჩუნებლად მას ჭირდება საყრდენი ქვეყნები, რათა თავისი ინტერესები იოლად განახორციელოს, ასეთი ქვეყნები მჭიდროდ თანამშრომლობენ აშშ-სთან და აღიარებენ აშშ-ის მსოფლიო ლიდერობას. ვაშინგტონის ადმინისტრაციის მოსაზრებით კი ასეთ ქვეყნებს წარმოადგენს დასავლეთ ევროპა, იაპონია , სამხრეთ კორეა, ტაივანი, ისრაელი.

აშშ-ის კავშირი შორეულ აღმოსავლეთთან დიდი ხნის განმავლობაში არ ხორციელდებოდა, რადგან აღმოსავლეთ ქვეყნების უმეტესი ნაწილითვის თვითიზოლაციის პოლიტიკა იყო დამახასიათებელი, ისინი ძირითადად მიმართულნი იყვნენ ქვეყნების შიგნით წესრიგის დამყარებით, პროდუქტების, საქონლის თუ სხვა ნებისმიერი პროდუქტის იმ რაოდენობით წარმოებისკენ, რაც მხოლოდ მათი მოსახლეობისთვის იქნებოდა სამყოფი, ასე გრძელდებოდა მანამ სანამ იაპონიაში არ შეაღწევდნენ ამერიკელები.

აშშ-ის ინტერესები წყნარი ოკეანის რეგიონში გამოიკვეთა ვაშინგტონის საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც მიმდინარეობდა 1921 წლიდან 1922 წლის 6 თებერვლამდე, ამერიკის დედაქალაქში. კონფერენციამ შეიძლება ითქვას დაასრულა ძალაუფლების ბალანსი შორეულ აღმოსავლეთში ,რომელიც შემუშავდა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. კონფერენციის მონაწილე ქვეყნები იყვნენ ამერიკის შეერთებული შტატები , დიდი ბრიტანეთი , ჩინეთი , იაპონია , საფრანგეთი, იტალია, ნიდერლანდები, ბელგია , პორტუგალია. კონფერენცია ამერეკის შეერთებული შტატების ინიციატივით მიმდინარეობდა, შეერთებულ შტატებს იმედი ჰქონდა, რომ მიაღწევდა საკუთარ თავზე ხელსაყრელ ხელშეკრულებას. ოფიციალურად კი კონფერენციის მთავარი მიზანი იყო საბჭოთა კავშირის ხალხისა და დამოკიდებული ქვეყნების გადაადგილების შეჩერება. სწორედ ამ მიზნით არ ყოფილა საბჭოთა კავშირი მიწვეული კონრენციაზე, ხოლო მოთხოვნის შემდეგ მას უარი ეთქვა აღნიშნულ კონფერენციაზე მონაწილეობის.

ვაშინგტონის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილება ძალინ მნიშვნელოვანი იყო მთელი მსოფლიოსთვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო „ოთხი ხელშეკრულება“, „ხუთი ხელშეკრულება“, „ცხრა ხელშეკრულება“.[7]

---

[7] ვაშინგტონის კონფერენცია 1921 -1922 მაგიდა. ვაშინგტონის კონფერენცია და მისი გადაწყვეტილებები. გვ.1. https://beasthackerz.ru/ka/skype/vashingtonskaya-konferenciya-1921-1922-tablica-vashingtonskaya-konferenciya-i-ee.html. ნანახია 20.03.2010

„ოთხი ხელშეკრულება“-ს ხელი მოაწეა ოთხმა ქვეყანამ : აშშ, საფრანგეთი, ინგლისი და იაპონია, ამ შეთანხმების მიზანი იყო ოთხივე ქვეყნის შეთანხმება, რომ მათ ერთობლივად უნდა დაეცვათ ტერიტორიული უფლებები წყნარ ოკეანეზე. ასევე ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ანგლო-იაპონური ალიანსის დაშლას, რომელიც 1902 წლიდან მიმდინარეობდა , ალიანსი არ შედიოდა ამერიკის ინტერესებში, რადგან ინგლისის და იაპონიის ალიანსი მიმართული იყო შეერთებული შტატების ზოგიერთი გეგმის წინააღმდეგ.

„ხუთი ხელშეკრულება“-ში მონაწილეობდნენ აშშ, საფრანგეთი, იაპონია , დიდი ბრიტანეთი, რომელიც ვაშინგტონის ზღვის ხელშეკრულებით არის შესული ძალაში. ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა ყველა მასში მონაწილე საზღვაო შეიარაღებული ძალების შეზღუდვის აუცილებლობას, ამ ხელშეკრულებით შეერთებულმა შტატებმა მოიპოვა უპირატეობა საზღვაო ძალებზე. შეერთებული შტატების გარდა, იაპონიამ და გაერთიანებულმა სამეფომ უზრუნველყვეს გარკვეული უპირატესობები ხელშეკრულების საშუალებით. ხელშეკრულებამ დაადგინა ლაინერბისა და საჰაერხომალდების ტონაჟის თანაფარდობა 5: 5: 3: 1.75: 1.. მიღებულ იქნა აგრეთვე აშშ-ს წინადადება, რომელის მიხედვით აკრძალული იყო საბრძოლო გემების მშენებლობა 35 ათას ტონაზე მეტი გადაადგილებით.

მეცხრე ხელშეკრულების მიხედვით , აღიარებულ იქნა ჩინეთის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტისადმი პატივისცემა, ქვეყნებს შეეძლოთ ჩინეთის ტერიტორიაზე ეწარმოებინათ ვაჭრობა, ისინი აღიარებდნენ და პატივს სცემდნენ ქვეყნის ნეიტრალიტეტის სტატუსს. ხელშეკრულება მიმართული იყო იაპონიისკენ, რათა ქვეყნიდან განედევნა მისი მოწინააღმდეგე.

1922 წელს დასრულდა ვაშინგტონის კონფერენცია. მთავარი შედეგი კი იყო საერთაშორისო პოლიტიკური წონასწორობის აღდგენა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. ვაშინგტონის კონფერენციამ გადაწყვიტა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული კოლონიური სამფლობელოებისა და გავლენის სფეროების ხელახალი გადაწყვეტილება წყნარ ოკეანესა და შორეულ აღმოსავლეთში, აშშ-მ მიაღწია

მნიშვნელოვან დათმობებს ინგლისისა და იაპონიის მხრივ. [8] ოთხ ათეულზე ნაკლები წლის წინ, აღმოსავლეთ აზიის ხვედრითი წილი იაპონიასთან ერთად მთელი მსოფლიოს სამრეწველო პროდუქციაში შეადგენდა დაახლოებით 4%-ს ,მაშინ როცა ჩრდილოეთ ამერიკის წამყვანი მდგომარეობა ეკავა მსოფლიოში და მისი წილი შეადგენდა 35-40%-ს . 90-იანი წლების შუა ხანებში ორივე რეგიონს თანაბარი შედეგი ჰქონდა. აზიამ მიაღწია ტემპების ისეთ ზრდას, რაც უპრეცედენტო იყო ისტორიაში, ასეთი შედეგის მიღწევას 50 წელი დასჭირდა დიდ ბრიტანეთს და ამერიკის შეერთებულ შტატებს , რასაც ჩინეთმა და სამხრეთ კორეამ მხოლოდ 10 წელიწადში მიაღწია, თუ ასეთი ტემპით განაგრძობს აზია განვითარებას გაუსწრებს იგი ამერიკასაც და ევროპასაც. აზია იქცა მსოფლიოში სიმძიმის ცენტრად, ის ასევე შეიძლება დაემსგავსოს პოლიტიკურ ვულკანსაც. აღმოსავლეთ აზია შეპყრობილია იმ ენერგიული საქმიანობით, რომელიც გულისხმობს რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის სწრაფი ტემპით გაზრდას , რაც აქამდე მშვიდად მიმდინარეობდა.

ამერიკა წარმოადგენს ჰეგემონ ქვეყანას , ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე ის ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველა დარწმუნებული იყო, რომ აშშ იგივე პოლიტიკას განახორციელებდა, თუმცა ასე არ მოხდა, ამერიკამ დაიწყო საბჭოთა კავშირის მიზნების წინააღმდეგ ბრძოლა , ამისთვის მას რა თქმა უნდა მოკავშირეები ჭირდებოდა, ამერიკის პოლიტიკის უკან , ყველა ქვეყანა იყოს დემოკრატიული , დაცული იყოს ადამიანთა და ბავშვთა უფლებები და ასე შემდეგ , იმალება ამერიკის მიზანი, იყოს ჰეგემონი ქვეყანა მსოფლიოში. სწორედ ამ მიზნის გამო მიმდინარეობდა „ცივი ომი“ , რომლის შედეგადაც დაიშალა საბჭოთა კავშირი , ცივმა ომმა მოიტანა დაპირისპირება აზიაში , 9როგორიც იყო კორეის და ვიეტნამის

[8] ზბიგნევ ბრეჟინსკი-დიდი საჭადრაკო დაფა-ამერიკის ბატონობა და მისი გეოსტრატეგიული იმპერატივები-გამომცემლობა არტანუჯი. გვ.237

[9] ზურაბ აბაშიძე. “ცივი ომი“- ჟურნალი „ჩემი სამყარო“ გვ.5.

https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_social_political/civi%20omi.pdf- ნანახია 30.05.2020.

ომი, რეალურად ეს ომი მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირსა და აშშ -ის შორის, რომელშიც ასევე ჩარეულნი იყვნენ სხვა ქვეყნებიც , მაგრამ რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებს უკავ ედგნენ ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი . ძირითადი მიზანი კი იყო მსოფლიოში ჰეგემონობის მოპოვება.

ამერიკის ეფექტური პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ შორეულ აღმოსავლეთში საყრდენი პუნქტი ჰქონდეს, ეს აუცილებლობა უზრუნველყოფილი არ იქნება იმ შემთხვევაში თუ ამერიკა გამოიდევნება ან თავად წამოვა აზიური კონტინენტიდან. სწორედ ამიტომ ცდილობს ამერიკა გაიმყაროს აზიაში მდგომარეობა , ქვეყნები დამოკიდებული გახადოს მასზე, ეს იქნება სავაჭრო თუ პოლიტიკური კუთხით. ამერიკის გლობალური პოლიტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იაპონიასთან მჭიდრო ურთიერთობებს, რომელიც საზღვაო სახელმწიფოს წარმოადგენს, იმავდროულად ამერიკისთვის აუცილებელიც და ნაყოფიერია თანამშრომლობა გარკვეული სახით მატერიკულ ჩინეთთან. [10]

ამერიკა უკვე აღარაა იაპონიის ოკეანეგაღმელი მოწინააღმდეგე, პირიქით ის მხარს უჭერს იაპონიასთან მჭიდრო და სამოკავშირეო ურთიერთობებს, რაც უფრო გაღრმავდა 1960 წლის შემდეგ , როდესაც დაიდო ხელშეკრულება თავდაცვის სფეროში , თავდაცვის სფეროში შეთანხმება გააჩნია სამხრეთ კორეასთანაც ამერიკას. აშშ-ს იაპონიასთან ასევე აკავშირებს ურთიერთანამშრომლობის და უსაფრთხოების ხელშეკრულება, სამხრეთ კორეასთან კი ურთიერთდახმარების ხელშეკრულება ასევე ეს ქვეყნები წარმოადგენენ ნატოს მთავარ მოკავშირეს, იმ სახელმწიფოებს კი, რომელთაც აშშ-სთან სამხედრო ალიანსები გააჩნიათ შეუძლიათ უფრო ნაკლები თანხა დახარჯონ სამხედროზე, რადგან მათ შეუძლიათ აშშ-ს დაცვაზე დაყრდნობა. ამერიკამ ასევე განიმტკიცა კავშირები ტაივანთან და სამხრეთ აღმოსავლეთის აზიის სხვა ქვეყნებთან. თუმცა ამერიკას არ მოსწონს ჩინეთის განვითარება და გაძლიერება რეგიონში , ამით იგი დაკარგას გავლენას რეგიონში, სწორედ ამიტომ ის ცდილობს მოკავშირე ქვეყნების დახმარებით ჩინეთის განეიტრალებას რეგიონში, შეიძლება

[10] ბზეჟინსკი.ზბიგნევ. „დიდი საჭადდრაკო დაფა“. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი-2012. გვ,227

ითქვვას, ამერიკის როლი წყნარი ოკეანის სივრცეში განისაზღვრება გეოპოლიტიკური პრობლემებით, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან.

იაპონია ცდილობს დამოუკიდებელ ქვეყანად იქცეს და მიისწრაფვის დაიმკვიდროს ადგილი გლობალურ დონეზე. ამერიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს წყნარი ოკეანის სივრცეში არ დაკარგოს გავლენა და ჰეგემონობა , მაგრამ საკითხავი ის არის როგორ შეძლებს პოზიციების გამყარებას ისევ თუ იაპონია უარს იტყვის ამერიკული ქოლგის ქვეშ ყოფნაზე. იაპონიისთვის სწორედ ამერიკა იყო ქოლგა , რომლის ქვეშ ქვეყანას შეეძლო მშვიდად მოსულიყო გონს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც იაპონიისთვის ამაოხრებელი და სამარცხვინო აღმოჩნდა, მას უნდა განევითარებინა ეკონომიკის ტემპები და ამ ნიადაგზე თანდადათანობით დაეკავებინა მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია .

რეგიონში ძალთა განლაგება არაბალინსირებულადაა გადანაწილებული ჩინეთი თავისი ბირთვული არსენალითა და უზარმაზარი შეიარაღებული ძალით, დომინანტ ქვეყანას წარმოადგენს, ჩინეთის შეიარაღებაში სამხედრო საზღვაო ძალებმა მიიღეს დოქტრინა , რომელიც გულისხმობს 15 წლის განმავლობაში საოკეანო აღჭურვილობა და შესაძლებლობები შეიძინოს, ასევე იაპონიის სამხედრო პოტენციალიც იზრდება, შეიარაღების ხარისხიც უფრო მაღალია, რომელსაც რეგიონში კონკურენტი არ ჰყავს ამის მიხედვით, ამერიკა ცდილობს პოზიციების გამყარებას აზიაში , ამაში კი ხელს ისიც უწყობს , ის რომ რეგიონში ძალთა გადანაწილების არასტაბილურობამ ავსტრალია და ინდონეზია აიძულა , რომ სამხედრო სფეროში სუფრო აქტიური ურთიერთობა დაეწყოთ ამერიკასთან, ორივე ქვეყანა აღშფოთებული იყო რეგიონში ჩინეთის სამხედრო ბატონობასთან დაკავშირებით, რის გამოც სულ უფრო აუცილებლად მიაჩნდათ რეგიონში აშშ-ის შეიარაღებული ძალების ყოფნის შენარჩუნება, ამავე აზრამდე მივიდა სხვა ქვეყნებიც, თუმცა ჩნდება კითხვა თუ როდემდე შეძლებს 100 ათასამდე ამერიკელი ჯარისკაცი მშვიდობის უზრუნველყოფას ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ და მსოფლიოში შეიარაღებით სულ უფრო მზარდ რეგიონში? სწორედ ამიტომ ამერიკის როლი უსაფრთხოების

უზრუნველყოფაში სულ უფრო მეტად არის დამოკიდებული იაპონიასთან თანამშრომლობაზე.

აზია- წყნარი ოკეანის რეგიონში აშშ-ის ჩართულობას ძლიერი არგუმენტი გააჩნია. მსოფლიოში აზიის ნაწილი მთლიანი მოსახლეობის ნახევარს მოიცავს , უდიდესი სამხედრო ძალებით გამოირჩევა და გლობალურ ფართო მოხმარების წარმოებაზეა პასუხისმგებელი. აზიურ ქვეყნები, აშშ-ის ეკონომიკისთვის, ინვესტიციების აუცილებელი წყაროა. აშშ უფრო მეტად ცდილობს რეგიონში ინვესტიციების განორციელებას. აზიის ქვეყნები მდიდარია ბუნებრივი რესურსუბით, შესაბამისად რესურსებით მდიდარ ქვეყნებში, აზიის გიგანტი ქვეყბნები, როგორებიც არიან უკვე ჩინეთი და რუსეთიც ახორციელებენ ინვესტიციებს, რაც , რა თქმა უნდა, გამოიწვევს ხსენებული ქვეყნების გავლენის გაზრდას უფრო მეტად რეგიონში , რაც არ შედის ამერიკის ინტერესებში , ამერიკისთვის სწორედ ამიტომ წარმოადგენს აუცილებელ წყაროს აღმოსავლეთის ქვეყნები, რეგიონში თუ ამერიკაზე უფრო მეტი ქვეყანა იქნება დამოკიდებული, როგორც ეკონომიკურად ისე პოლიტიკურად, ეს რა თქმა უნდა გაზრდის აშშ-ის გავლენას რეგიონში.[11]

2.1 სხვა აქტორების როლი „რუსეთი“ „ჩინეთი“ „ჩრდილოეთ კორეა“ აშშ-იაპონიის ურთიერთობებში

ჩინეთის გეოპოლიტიკური მომავლისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს თუ როგორ განვითარდება ამერიკა-იაპონიის ურთიერთობები. 1949 წელს ჩინეთის სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ ამერიკის პოლიტიკა შორეულ აღმოსავლეთში ეყრდნობა იაპონიას. აშშ-ის მთავარ მიზანს რეგიონში წარმოადგენდა ჩინეთის გავლენის გაზრდის დაბალანსება, ამას კი დიპლომატიური ,ეკონომიკური და სამხედრო სფეროებში, პარტნიორ ქვეყნებთან ურთიერთობის გაღრმავებით

[11] ბჟეზინსკი ზბ. „დიდი საჭადრაკო დაფა“. გამომცემლობა: „არტანუჯი“ , თბილისი-2014. გვ.240

შეეცადა. ეს ყველაფერი კი, რა თმქმა უნდა, ჩინეთისთვის არ იყო მოსაწონი და უარყოფითად აღიქვა. ამერიკას და ჩინეთს შორის პრობლემას კომუნიზმი ხელისუფლება წარმოადგენს, ამერიკა ცნობილია ,როგორც დემოკრატიული ქვეყანა მისი მაღალჩინოსნები კი აკრიტიკებენ კომუნიზმს.

ჩინეთისთვის ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ამერიკა და იაპონია. ჩინეთი აცნობიერებს ,რომ სწორედ ამ ქვეყნებთან ურთირთობით გაირკვევა ჩინეთის რეგიონული და გლობალური როლი. ჩინეთის ეკონომიკური განვითარების ტემპები და კაპიტალდაბანდებები ყველაზე მაღალია მსოფლიოში, რა თქმა უნდა , ჩინეთის ეკონომიკური მაშტაბები და ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპები შესაბამისად გამოიწვევს იმას, რომ ჩინეთი ეცდება შეიარაღებული ძალების გაზრდას,რაც არ შედის ამერიკის ინტერესებში, შესაბამისად ჩინეთში ამგვარი ვითარება იაპონიასაც აამოქმედებს ამ მხრივ შეერთებული შტატების ხელშეწყობით. ჩინეთის ყველანაირი ცდა ჰეგემონი გახდეს რეგიონში გამოიწვევს ამერიკის უარყოფით რეაქციას, იაპონიის მხარდაჭერით, ყოველი ქმედება გავლენა მოიპოვოს ჩინეთმა აზიის ტერიტორიაზე , ეცდება შეასუსტოს ამერიკელების პოლიტიკური ყოფნა , შეზღუდოს ერთადერთი საყრდენი ამერიკელების , რომელიც იაპონიაში გააჩნიათ გამოიწვევს შეერთებული შტატების საპასუხო მოქმედებას.[12]

ჩინეთი თანამედროვე ამერიკას მიიჩვენს ჰეგემონად , რომლის რეგიონში ყოფნა , რომელიც დამოკიდებულია იაპონიაში მის ავტორიტეტზე , ზღუდავს ჩინეთის გაფართოების შესაძლებლობას . ჩინელი მეცნიერების და მკლევრების მოსაზრებით აშშ-ის სტრატეგიული მიზანია , მთელი მსოფლიოში ბატონობისკენ სწრაფვა და მათ არ შეუძლიათ შეურიგდნენ, ევროპულ და აზიურ კონტინენტზე ნებისმიერი სხვა ისეთი დიდი ჰეგემონის გამოჩენას , რომელიც მათ საფრთხეს შეუქმნის, როგორც ლიდერის მდგომარეობას . შესაბამისად ის ჩინეთის მოწინააღმდეგე ხდება .

ჩინეთი და იაპონია წარმოადგენს კულტურულად და ტრადიციულად მსგავს ქვეყნებს , იაპონელი მოქალაქეების აზრით შესაძლებელია , რომ ჩინეთთან კარგი

[12] ბზეჟინსკი.ზბიგნევ. „დიდი საჭადრაკო დაფა“. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი-2014. გვ,235

ურთიერთობა დაამყაროს იაპონიამ , არსებობს იმის შანსიც რომ საერთო ალიანსი შექნას ჩინეთმა და იაპონიამ რეგიონში, გააღრმაონ თანამშრომლობა, როგორც ეკონომიკურად ასევე პოლიტიკურად, თუმცა ამის შესაძლებლობა ნაკლებად არსებობს თუ გადავხედავთ ისტორიას. ისტორიულად ჩინეთი და იაპონია დაპირისპირებულ მხაეებს წარმოადგენენ, ჩინეთს იაპონიის მიმართ გააჩნია აგრესია წარსულის გამო , იაპონია ყოველთვის ცდილობდა ჩინეთზე ზეგავლენის მოხდენას, სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი მიზეზი აშშ-ის ჩარევის იაპონიის წიააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და აშშ-ის მიერ ემბარგოს დაწესება იპაონიის წინააღმდეგ, რასაც მოჰყვა საბოოლოდ იაპონოოს გავლენის შემციება , კოლონიების დაკარგვა , რუსეთის მიერ იაპონიის კუნძულების მითვისება, ეკონომიკური ზიანი და ორი ატომური ბომბი ,რამაც გამოიწვია ჩინეთის წინა პლანზე წამოწევას ხოლო იაპონიის ოკუპაცია.

იაპონიის უმთავრეს გამოწვევას ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის ქვე-რეგიონში წარმოადგენს ჩინეთის მზარდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობები. იაპონიის მიზანია შეზღუდოს ჩინეთის რეგიონულ ლიდერად ჩამოყალიბება და არ დაუშვას ჩინეთის გავლენის შემდგომი გაფართოება, როგორც ჩრდილო, ასევე სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მიმართულებით.

ჩინეთი გვთავაზობს სხვა ალტერნატივას, მის მიერ შემოთავაზებული ალტერნატიული ხედვა ხაზს უსვამს ყველა სახელმწიფოს უფლებას, იქნება ის დიდი თუ პატარა, დასავლური თუ აღმოსავლური, მდიდარი თუ ღარიბი, დემოკრატიული თუ ავტორიტარული, თანაბარი, უპრეცედენტო სუვერენიტეტის ქონის შესახებ. ყველას უნდა ჰქონდეს უფლება დანერგოს საკუთარი მართვის სისტემა, მიუხედავად იმისა შეესაბამება თუ არა ის დასავლურ სტანდარტებს. კიდევ ერთი შეთავაზება ასეთი სისტემისთვის არის „მრავალფეროვნება“, ამდენად, ძირითადი პრინციპი, რომლითაც ჩინეთი გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე და აწარმოებს საერთაშორისო ურთიერთობებს ქვეყნებთან, არის სუვერენიტეტი, რომ არცერთ სახელმწიფოს არ აქვს უფლება ჩაერიოს სხვა სახელმწიფოს შიდა საქმეებში. ჩინეთის პოზიციიდან გამომდინარე ის არ ცდილობს ჰეგემონიის ხელში ჩაგდებას, ჰეგემონია

1960-იანებში საბჭოთა კავშირის და მისი ექსპანსიონიზმის მთავარი კოდი იყო, დღეს ჩინეთი იგივე ტერმინს იყენებს იმის აღსაწერად რასაც აკეთებს ამერიკის შეერთებული შტატები ამერიკული ნების აღსრულების სახით სხვა ქვეყნებზე, იქნება ეს ვაჭრობის პრაქტიკა, იარაღის გავრცელება თუ ადამიანის უფლებები. ჩინეთი ამშვიდებს მის შედარებით პატარა მეზობელ ქვეყნებს, რომ მისი მზარდი ეკონომიკა და სამხედრო პოტენციალი არასდროს იქცევა რეგიონული დაშინების იარაღად მის ხელში ,თუმცა მისი სამეზობლო კონფლიქტები სხვა რამეზე მეტყველებს. გაეროს სხდომებზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ხშირად თავს იკავებს ან საერთოდ არ აძლევს ხმას ინტერვენციებს , იქნება ეს სამოქალაქო ომის დასრულება, ტერორიზმის შეჩერება თუ რაიმე სხვა მსგავსი დონის საკითხი. ჩინეთის, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრის უარყოფითი ხმას წარმოადგენს ვეტოს უფლება , რითაც იგი ხშირად ანაწყენებს რეზოლუციის მომხრე ქვეყნებს, განსაკუთრებულ გაღიზიანებას კი იწვევს შეერთებული შტატებისას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ძალები მოიცავს სახმელეთო, საზღვაო,საჰაერო და სამხედრო პოლიციის ძალებს 1,3 მილიარდიანი მოსახლეობით, აშშ-ის მოსახლეობაზე 4-ჯერ მეტი, ჩინეთს ჰყავს 2,3 მილიონიანი აქტიური სამხედრო მოხელე, დამატებით კი 1,1 მილიონი რეზერვისტი და პლიუს სამხედრო პოლიცია. ასევე სახალხო განმათავისუფლებელი არმია ,რომელიც დღესდღეობით შემცირდა, თუმცა დაარსების მომენტში 1992 წელს შეადგენდა 3 მილიონზე მეტ სამხედროს. უცხოური შეძენისა და საშინაო ინოვაციების კომბინაცია ხელს უწყობს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო ძალის გაზრდას, სწორედ ასეთი ძალის გამო აშშ არის შეშფოთებული , რომ ის მოიპოვებს ჰეგემონიას, ხოლო აშშ-ის გავლენა შემცირდება მსოფლიოში .

იმ მოსაზრებას,რომელიც გუსიხმობს , რომ შესაძლებელია ჩინეთსა და იაპონიას შორის ალიანსის შექმნა , ნაკლებად შესაძლებელია. გეოგრაფიული მდებარეობის გამო, იაპონია პოლიტიკურად კორეასა და ვიეტნამთან შედარებით ნაკლებად იყო დამოკიდებული ჩინეთზე, თუმცა კულტურულად მაინც მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა და შეიძლება ითქვას, რომ იაპონური კულტურული ფესვები

ისტორიულად ჩინეთიდან მოდის, თუმცა ყოველთვის ჰქონდათ დაპირისპირება იაპონიასა და ჩინეთს, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონია პროამერიკული ქვეყანა გახდა, ხოლო ჩინეთი კომუნისტური. აღნიშნული პროცესების ფონზე აშშ-მ გააცნობიერა, რომ იაპონიას შეეძლო მისი უმთავრესი დასაყრდენი სახელმწიფოს როლი ეთამაშა რეგიონში. შედეგად, 1951 წელს აშშ -იაპონიას შორის გაფორმდა სამშვიდობო ხელშეკრულება და აშშ-იაპონიის ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულება. იაპონია ამერიკის უმთავრეს რეგიონულ მოკავშირედ იქცა.

იაპონიისა და ჩინეთის ურთიერთობის გაღრმავებას ასევე ხელს უშლის სადაო ტერიტორიები. აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში იაპონიასა და ჩინეთს შორის ტერიტორიული დავები წლებია მიმდინარეობს. ამ ტერიტორიას 1895 წლიდან იაპონია აკონტროლებს (მეორე მსოფლიო ომის პერიოდის გარდა, როდესაც მას აშშ აკონტროლებდა).ჩინეთმა ამ კუნძულებზე დავა გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო და ირწმუნება, რომ ისტორიულად ეს ტერიტორიები მათ ეკუთვნით.

1951 წელს ხელმოწერილ იქნა სან ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც იაპონიას მოჰყავს იმის დასტურად , რომ სენაკუს კუნძულები მას ეკუთვის. სან ფრანცისკოს ხლშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად იაპონია უარს აცხადებს ფორმოსას და პესკადორეს კუნძულებზე, თუმცა სენაკუს კუნძულებზე აცხადებს , რომ ის რჩება იაპონიის მმართველობის ქვეშ, თუმცა ადმინისტრაციულად პასუხისმგებელი იქნება აშშ. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად აშშ ეთანხმება კუნძულების იაპონიის შემადგენლობაში ყოფნას, სან ფრანცისკოს შეთანხმება მოსდევდა პოდსსდამისა და ქაიროს ხელშეკრულებები, იაპონია კუნძულების კანონიერ მფლობელად სწორედ ამ ხლშეკრულებით ითვლება. ასევე , ერთ-ერთ მნიშვნელოვან არგუმენტად იაპონიას მოჰყავს 1971 წელს აშშ-სა და იაპონიას შორის დადებულ ხელშეკრულება, რომლის თანახმად აშშ-მ სან ფრანცისკოს კანონმდებლობით მინიჭებული ადმინისტაციული უფლება იაპონიას გადასცა, თუმცა აშშ-ს იაპონიამ მიცა უფლება გამოიყენოს ტერიტორია და მასზე არსებული ყველა საშვალება, რაც გაწერილი იყო ურთიერთთანამშრომლობისა და

უსაფრთხოების შესახებ აშშ-სა და იაპონიას შორის ვაშინგტონში 1960 წლის 19 იანვარს ხელმოწერილ ხელშეკრულებაში.

როგორც ჩინეთი ასევე რუსეთი აქტიურად ცდილობს აშშ-ის გავლენის განეიტრალებას რეგიონში, თავის მხრივ ჩინეთს და რუსეთს შორი არსებობს დაძაბულობა, თუმცა ორივე მხარე შეშფოთებულია ნატოს გაფართოებით , ამას დაუშვებელი უწოდეს ორივე ქვეყანამ , რადგან ეს მიმართულია აღნიშნული ქვეყნების ძალუფლების გაზრდის შესაჩერებლად. სავარაუდოდ ნაკლებად არის შესაძლებელი ჩინეთმა და რუსეთმა გააღრმაოს ურთიერთობები, რადგან ორივე მხარე ხვდება, რომ მათი საერთო ალიანსი გამოიწვევს იაპონია-ამერიკის ურთიერთობების გაღრმავებას. გარდა ამისა ეს ჩამოაშორებდა ჩინეთს სასიცოცხლოდ მნიშვნეოვანი წყაროების მიღებას ამერიკიდან. ისტორიულად რუსეთს ჩინეთი უწოდებს „მშიერ ქვეყანას“, რაც ხაზს უსვამს ჩინეთის დამოკიდებულებას რუსეთის მიმართ.[13]

აშშ-ის გავლენა იაპონიაში, იქ განლაგებული აშშ-ის სამხედრო ძალები, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, სწორედ საბჭოთა კავშირის შესაჩერებლად მოხდა. ამერიკის სახით იაპონიამ შეიძინა პარტნიორი , რომლის საშვალებითაც იგი შეძლებდა თავისი ინტერესების განხორციელებას. „ცივი ომი“ აშშ-სა და საბჭოთა კავშის შორის მიმდინარეობდა საბოლოოდ საბჭოთა კავშირი დასუსტდა როგორც ეკონომიკურად ასევე პოლიტიკურად , ის დაიშალა „გასროლის გარეშე“, როგორ ეს ტეტჩერმა აღნიშნა, თუმცა ასეც არ ყოფილა , საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატების დაპირისპირებამ გამოიწვია ვიეტნამის და ჩრდილოეთ კორეის ომი.

იაპოანიას და რუსეთს შორის ურთიერთობები შეშფოთებას იწვევდა არა მხოლოდ წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებში , არამედ მთელ მსოფლიოში. თუ როგორ განვითარდება მომავალში რუსეთსა და იაპონიას შორის ურთიერთობები ამას შეიძლება ღრმა გავლენა ჰქოდეს აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოებაზე . იაპონია არის აშს-ის ყველაზე ძლიერი მოკავშირე რეგიონში, სადაც განლაგებულია დამრტყმელი

[13] ბზეჟინსკი.ზბიგნევ. „დიდი საჭადდრაკო დაფა“. გამომცემლობა „არტანუჯი“. თბილისი-2014. გვ,240

სამხედრო საზრვაო ძალები , რომელიც მოიცავს აშშ-ის ავიამზიდ კიტტი ჰოუკს ისევე, როგორც მრავალ საარმიო პოსტს , საჰაერო ძალების ბაზებსა და საზღვაო ქვეითების დიდ კონტინენტს, რომელიც კუნძულ ოკინავაზეა განლაგაგებული. რუსეთის დასუსტება სტრატეგიულად მნიშვნელოვანია აშშ-თვის , რომლის ინტერესებიც დაფუძნებულია ფართო სპექტრზე . მისი არსენალი სტრატეგიული და ტაქტიკური ბირთვული იარაღი მართავს კონფლიქტს, ასევე მისი შესაძლებლობა, რომ გააჩნდეს დიდი სამხედრო ძალა, რომელიც მომოვალში გარანტი იქნება სტაბილურობის ან სტრატეგიულობისა ან არასტაბილურობისა.

იაპონიას და რუსეთს აქვს დაძაბული ურთიერთობა თავიანთი მარცხის გამო, ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა ჩრდილო-აზიაში დარჩა შედარებით დაბალ დონეზე, ვიდრე იყო იაპონიის ურთიერთობები მის სხვა აღმოსავლეთ აზიელ მეზობლებთან.

ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე რუსებსა და იაპონელებს შორის მეთევზეობა გახდა ტრადიცული უთახმოების ფაქტორი. 1920-30 იან წლებში იაპონელი მეთევზეები რეგულარულად არღვევდნენ საბჭოთა ტერიტორიულ წყლებს საიმპერატორო სამხედრო ხომალდების დახმარებით ეს ტრადიცია შეიცვალა ომის შემდეგ, როცა საბჭოელებმა აკრძალეს თევზაობა ბევრ ტრადიციულ ადგილზე, იაპონია თევზის მოხმაების მიხედვით უდიდესი მომხმარებელია, რაც აისახა საკვების მძიმე უკმაისობაზე .

მეორე მსოფლიო ომში იაპონია დამარცხდა, მოკავშირეები გაწევრიანდნენ იაპონიის წინააღმდეგ , შესაბამისად რუსეთს 1941 წელს დადებული ჩაურევლობის ხელშეკრულების დარღვევა, ეს ხელშეკრულება გათვილილი იყო 1946 წლის აპრილამდე ,რასაც ბოლომდე იცავდა იაპონია. ნეიტრალიტეტის შესახებ პაქტის როლმა და მისმა გაუქმებამ 1945 წელს საბჭოთა კავშირის მიერ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იაპონელთა პრეტენზიებზე სადაო კუნძულებთან . მნიშვნელოვანი ისიც , რომ 1941 წელს არცერთი მხარე არ ენდობოდა ერთმანეთს და არც პაქტს არ დაარღვევდნენ თუ ეს მათ მიზნებს არ შეესაბამებოდა . იალტის კონფერენცია იყო

განმსაზღვრელი მომენტი აშშ-ის დავაში , რუზველტს სჯეროდა, რომ კუნძულები ეკუთვნოდა რუსეთს, იაპონია-რუსეთის ომის შემდეგ.

რუზველტი ფიქრობდა, რომ სტალინი არ დაეთანხმებოდა კორექტირებას, თუმცა არა მგონია, რომ ეს ყოფილიყო რუზველტის ცნობილი ჭეშმარიტება და ის არ მოქმედებდა განსხვავებულად. სულ რაღაც 15 წუთში რუზველტი დაეთანხმა სტალინის წინადადებას კურილის კუნძულების საბჭოთა კავშირისთვის „გადაცემის" თაობაზე, რასაც სტალინი ამართლებდა მცდელობით, რომ აშშ-ს სურდა ხელში ჩაეგდო კუნძულები 1945 წელს იაპონელთა კაპიტულაციის .

კურილის კუნძულები ანექსირებულ იქნა საბჭოთა კავშირის მიერ 1945 წლის 20 სექტემბერს. რუსეთმა დაიკავა კურილიის კუნძულები, რომელიც ყველაზე დიდ სადაო საკითხს წარმოადგენს იაპონელებსა და რუსებს შორის , ამის მიზეზი კი ის არის , რომ იაპონიამ ოფიციალურად უარი განაცხადა კუნძულების სუვერენიტეტის აღიარებაზე 1952 წლის სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელსეკრულების მიხედვით. [14]

თავდაპირველად იაპონიის ოკუპაციის მიზანი ამერიკელების მიერ იყო დემოკრატიზაცია იაპონიის, თუმცა 1951 წლიდან აშშ ეძებდა უკვე აზიელ მოკავშირეს ჩინეთის ჩასანაცვებლად, რადგან ჩინეთი დაკარგული იყო კომუნიმზში. სწორედ ამიტომ ამერიკა იჭერს იაპონიის მხარეს აღნიშნულ დავაში.

რუსეთსა და იაპონიას შორის ამერიკის ჩარევა იწყება რუზველტის მიერ კურილიის კუნძულების დათმობით, როგორც რუსების ყოფილი ტერიტორიისა , რომელიც მიტაცებული იყო იაპონური ძალადობის და სიხარბის მეშვეობით. 1957 წლიდან 1951 წლამდე მიმდინარეობდა ხელშეკრულებაზე მუშაობა, ხელშეკრულება ძალაში უნდა შესულიყო როგორც სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულება. დალესი ტრუმენმა დანიშნა 1950 წელს, რათა უზრუნველყო ორივე მხარის , საბჭოთა კავშირისა და იაპონიის მხარდაჭერა ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკებებზე. იგი იყო აშშ-ის მთავარი მომლაპარაკებელი, რომელიც ასევე აწარმოებდა მოლაპარაკებებს შორეულ აღმოსავლეთის კომისიის ყველა წევრთან, რომელიც

[14] სოფიო გუგუნავა. „კონფლიქტი იაპონიის ჩრდილოეთ ტერიტორიების გარშემო (პრობლემები და გადაჭრის გზები)". თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დისერტაცია). თბილისი-2016. გვ.45

მოიცავდა 11 იმ ქვეყნას, რომელთანაც ომი ჰქონდათ იაპონელებს, ასევე სხვა 40 ერისთვის, რომელთაც ომი გამოუცხადეს იაპონელებმა. აშშ ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ საბოლოოდ სამშვიდობო ხელშეკრულება მისაღები იქნებოდა ყველა მხარისთვის. ხელშეკრულების შესახებ მოლპარაკებები მიმდინარეობდა შორეული აღმოსავლეთის კომისიის ყველა წევრ სახელმწიფოსთან ,თუმცა საბჭოთა კავშირის ჩართვა რთული აღმოჩნდა, განსაკუთრებით ტერიტორიულ საკითხებთან დაკავშირებით.

დალესი მუდმივად ამტკიცებდა, რომ პოტსდამის დეკლარაცია იყო პირველადი იურიდიული დოკუმენტი, რომელზეც უნდა დაფუძვნებულიყო ხელშეკრულება და რომ ყველა სხვა შეთანხმება ექვემდებარება სან ფრანცისკოს ხელშეკრულების დადასტურებას .(სან-ფრანცისკოს კონფერენციის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე აშშ-ში გამოცადეს სრულიად ახალი ტიპის მასობრივი განადგურების იარაღი ატომური ბომბი, რითიც საბჭოთა კავშირს ფაქტობრივად მიანიშნეს, რომ აშშ -ს მსოფლიო სამხედრო -სტრადეგიული უპირატესობა გააჩნია).

ოფიციალურად შერთებულმა შტატებმა დაიკავა ისეთი პოზიცია, რომ კუნძულების ფლობის უფლება შეიძლება გადაეცეს მხოლოდ იმ ერებს , რომლებსაც სურთ, რომ იყვნენ სამშვიდობო ხელშეკრულების მხარეები, წინააღმდეგ შემთხვევაში იაპონია უარს აცხადებს მიმღების პრეტენზიაზე. საბჭოთა კავშირი იძულებული იყო დათანხმებოდა და ხელიც მოეწერა 1951 წლის სანფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულებისათვის, თუმცა ასე არ მოხდა . დალესმა ზუსტად იწინასწარეტყველა, რომ საბჭოელები უარს იტყოდნენ ხელშეკრულების. ამერიკის სურვილს წარმოადგენდა ორ ქვეყანას შორის ტერიტორიული დავა, რადგან კონფლიქტი აღნიშნულ ქვენებს შორის ხელს შეუშლიდა საერთო ალიანსის შექმნას რეგიონში, აშშ-ის მიზანი ტერიტორიული დავის გაღვივება იყო. 1955-56 წლების მოლაპარაკებები, რომელმაც აღადგინა ურთიერთობები საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის გაგრძელდა მცირე ხანს, როდესაც თითქოს ჩანდა, რომ შესაძლებელი იყო სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება და რეზოლუციის მიღება, სწორედ შეთანხმების მიღწევას ტერიტორიულმა დავამ შეუშალა ხელი.

შეერთებული შტატები ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეშალა ქვეყნებს შორის ურთიერთობის მოგვარებას . ამერიკულმა ჩარევამ აღკვეთა იაპონელთა მიერ ორი კუნძულის გადაცემის საკითხი, როდესაც ჯონ ფოსტერ დალესი დაემუქრა, რომ თუ იაპონია უარს იტყოდა თავის პრეტენზიებზე კუნაშირთან და ეტოროფუსთან დაკავშირებით, იმ შემთხვევაში ამერიკის შეერთებული შტატები განიხილავდა ოკინავას ანექსიას. ერთ-ერთი რეალობაა ისიც, რომ 1951 წელს იაპონიის მთავრობამ სხვადასხვა მიზეზის გამო შეცვალა პოზიცია, როდესაც იაპონიის მინისტრთა კაბინეტმა იაპონელ მომლაპარაკებლებს მისცა მითითებები იმასთან დაკავშირებით, რომ მათთვის მისაღები იყო მხოლოდ ოთხივე კუნძულის დაბრუნება.მიუხედავად იმისა, რომ დასახლება ამერიკელებს ჰქონდათ აღებული და არასასიამოვნო პოზიციაში იყვნენ ოკინავას ბუნებრივი ძალის წინაშე, მაშინ საბჭოელებმა იგრძნეს, რომ მათ უნდა ეკარნახათ პირობები და სხვა ყველაფერი უკვე დაკარგული პრესტიჟის ტოლფასი იქნებოდა. [15]

ტრადიციულად იაპონიას და რუსეთს შორის უნდა არსებობდეს თანამშრომლობა , რადგან იაპონია მდიდარია ეკონომიკით , მაგრამ ღარიბია რესურსებით , ხოლო რუსეთი პირიქით ის რესურსებით მდიდარ ქვეყანას წარმოადგენს, მაგრამ ღარიბია ეკონომიკით. იაპონიას და რუსეთს შორის არსებობს ეკონომიკური კავშირი თუმცა მათ შორის ურთიერთობების გაღრმავება ნაკლებად არის მოსალდნელი ,რადგან როგორც იაპონელმა მეცნიერმა აღნიშნა ყვავილები ვერ აყვავდებიან ფესვების გარეშე. „თუ არ არის პროგრესი ჩრდილოეთ ტერიტორიების დავის მოგვარების კუთხით, მაშინ ყვავილები ვერ გაძლებს დიდხანს.“ პრობლემა,რომელიც რუსულ-იაპონურ დიპლომატიას მართავს არის ის, რომ სახელმწიფოს არ აქვს გამოხატული პრიორიტეტი პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სხვა სახის ურთიერთობების გაუმჯობესებისა. სხვა მაშინ, როცა არსებობს „საერთო ღობის“ პრობლემა, არცერთს არ სურს , რომ ძალები დაიშუროს მისი რემონტისთვის. იაპონიას და რუსეთს სურს კონკრეტული შედეგის მიღწევა მცირე ენერგიის გაღების ფონზე. მეორე მსოფლიო

[15] სოფიო გუგუნავა. „კონფლიქტი იაპონიის ჩრდილოეთ ტერიტორიების გარშემო (პრობლემები და გადაჭრის გზები)“. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დისერტაცია). თბილისი-2016. გვ.54

ომის შემდგომი რეკონსტრუქციის დროს იაპონიას უკვე განსაზღვრული ჰქონდა პირველი რიგში საკუთარი ინტერესები ეკონომიკური თვალსაზრისით ,რის გამოც, მისი უსაფრთხოება გარანტირებულია აშშ-სთან ალიანსით. ვაშინგტონთან ურთიერთობები უმაღლეს პრიორიტეტს წარმოდგენს იაპონელი პოლიტიკოსებისთვის, რადგან აშშ არის გარანტი იაპონიის უსაფრთხოებისა და მისი უდიდესი სავაჭრო პარტნიორია, რომელზეც იაპონური ექსპორტის 30% მოდის. აშშ-იაპონიის მყარი ურთიერთობის შემდეგ ზოგადად იაპონელებს სტაბილურობის სურვილი აქვთ. ტერიტორიული დავა რჩება რუსეთ იაპონიის ურთიერთობების უხეშ კვანძად. ცივი ომის პერიოდში საბჭოთა-იაპონური ურთიერთობები ძირითადად საბჭოთა - ამერიკული ურთიერთობების ფუნქციას ასრულებდა. ჩრდილოეთ ტერიტორიების დავა ემსახურებოდა შეერთებული შტატებისა და იაპონიის უფრო მჭიდრო დაახლოებას. იაპონია იყო ძალა აშშ-თვის რომლის მეშვეობითაც ცდილობდა შეერთებული შტატები რეგიონის შესაძლო გასაბჭოება აერიდებინა თავიდან, სწორედ ამის მიზეზი იყო ის, რომ იაპონია მოკავშირედ გაიხადა. გასაბჭოების თავიდან არიდების მიზანი იყო ,კორეის და ვიეტნამის ომი. კორეაში ომი დაიწყო 1950 წელს, მაშინ როცა ამერიკულმა სამხედრობმა დატოვეს სამხრეთ კორეა, ჩრდილოეთ კორეამ ისარგებლა ამით და შეიჭრა სამხრეთ კორეაში, მიზანი კი ის იყო , რომ დიდებული კომუნიზმი გაევრცელებინა. ამერიკას ჯერ კიდევ [16]არ ჰქონდა მონელებული ის, რომ საბჭოთა კავშირმა შეძლო ჩინეთის გასაბჭოება ამიტომ , გაეროს საბჭომ მიიღო რეზოლუცია სამხრეთ კორეაში ჯარების გაგზავნის, აღსანიშნავია ის ფაქტი ,რომ ეს გადაწყვეტილება მაშინ მიიღო ,როცა სამიტზე არ იმყოფებოდა 5 მუდმივი წევრიდან რუსეთი, რუსეთს შეეძლო ვეტოს უფლება გამოეყენებინა, თუმცა სტალინმა ეს არ გააკეთა, როგორც ავღნიშნე მას უფრო დიდი მიზნები ჰქონდა (მთელ მსოფლიოში კომუნიზმის გავრცელება). სამხრეთ კორეაში გაიგზავნა 16 სხვადასხვა ქვეყნიდან შეიარაღებული ძალები გაეროს ეგიდით, ხოლო 46 ქვეყანამ, სამხრეთ კორეას სამხედრო აღჭურვილობით და სხვა სახის დახმარება

[16]თორნიკე შარაშერიძე.“კორეის ომი“.გვ.8. https://www.gfsis.org/files/my-world/15/koreis_omi.pdf ნანახია 15.05.2020.

გაუწია. მოკავშირეთა მიერ საერთო ოპერაციის განხორციელების შემდეგ, გაეროს ჯარები კორეის ნახევარკუნძულის თითქმის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდა, თუმცა ჩრდილოეთ კორეის დასახმარებლად ჩაერთო ჩინეთი , რომელსაცზურგს უმაგრებდა საბჭოთა კავშირი. სამწლიანი ომისა და ზავის დადებაზე ორწლიანი მოლაპარაკების შედეგად მხარეებმა საბოლოო გადაწყვეტილება მაინც ვერ მიიღეს,კორეის ომი არ დასრულებულა თუმცა შეიქმნა საზღვარი. ჩრდილოეთ კორეაში რუსეთი ხოლო სამხრეთ კორეაში აშშ იყო გაბატონებული. ჩინეთის ჩარევამ კორეის კონფლიქტში აშშ გააღიზიანება გამოიწვია, სწორედ კორეის ომის დროს დაიწყო იაპონიის ეკონომიკური აღმავლობა, .ომში იაპონიაც ეხმარებოდა ამერიკას ის ამარაგებდა სხვადასხვა პროდუქციით. სწორედ კორეის ომი იყო ერთ-ერთი ფაქტორი , რომ აშშ-მ არ ისურვა ჩინეთთან ურთიერთობა მაშინ , როცა საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის გაფუჭდა ურთიერთობები. საბოლოოს მას შემდეგ , რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი, რუსეთი რეალურად აღარ წარმოადგენს დიდ საფრთხეს შეერთებული შტატებისთვის , მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას , რომ აშშ-მ ყურადღება უნდა მოადუნოს, რაც შეეხება ტერიტორიულ დავას, რუსები თვლიან, რომ მათი სახელმწიფო არის ძლიერი, ხოლო ძლიერი სახელმწიფო არასოდეს თმობს ტერიტორიებს.

აღმოსავლეთ რეგიონში კიდევ ერთ საფრთხეს წარმოადგენს ჩრდილოეთ კორეა და მისი ბირთვული პოტენციალი , განსაკუთრებით იაპონიისთვის. ჩრდილოეთ კორეა ახორციელებს ბირთვული იარაღის გამოცდას , რაც აზარალებს იაპონიას, ამიტომ იაპონია დაინტერესებულია იმ ფაქტით, რომ გაზარდოს და გააღრმაოს ურთიერთობები ამერიკასთან , რათა მან უზრუნველყოს იაპონიის უსაფრთხოება.

ატომური ტექნოლოგია პირველად 1950 წელს საბჭოთა კავშირისგან მიიღო ჩრდილოეთ კორეამ. 1985 წელს ის შეუერთდა ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობაზე საერთაშორისო შეთანხმებას, რომელიც ყვეყნებს ატომური იარაღის წარმოებას უკრძალავს , თუმცა ერთი წლის შემდეგ , ჩრდილოეთ კორეის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ იონბიონში ბირთვული საწარმო

ამუშავდა. 2003 წელში კი აღნიშნულ შეთანხმებას საერთოდ გამოეთიშა. [17]ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პოგრამის განვითარებას 2006 წელს პირველი წარმატებული ბირთვული გამოცდა მოჰყვა. 2009 წელს ორჯერ ძლიერი ბირთვული ბომბის გამოცდა განხორციელდა. 2013 წელს ჩრდილოეთ კორეამ მე-3 ბირთვული გამოცდა ჩაატარა, რომელსაც სამჯერ მეტი დამანგრეველი ძალის მქონე იყო. 2016 წლის იანვარში ჩრდილოეთ კორეის მე-4 ბირთვული გამოცდა განხორციელდა, რომელიც ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლების მტკიცებით წყალბადის ბომბის წარმატებულ გამოცდას წარმოადგენდა. ამ ბირთვული ტესტების გარდა , ჩრდილოეთ კორეამ განათავსა ბალისტუკი რაკეტები,რომლის მოქმედების რადიუსი მთელ იაპონიას ფარავდა. ამასთანავე , ჩრდილოეთ კორეამ დაიწყო ისეთი რაკეტების შექმნაზე მუშაობა , რომელებიც აშშ-მდე მიაღწევდა. 2017 წლის ნოემბერში ჩრდილოეთ კორეამ ბირთვული იერიშის მიტანით დაიმუქრა და განაცხადა , რომ იაპონიასა და წყნარ ოკეანეში განთავსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებს „გააქრობდა ‘’, ერთი კვირის შემდეგ ჩრდილოეთ კორეამ გაუშვა რაკეტა, რომელსაც 1000 კილომეტრი იფრინა და შემდეეგ იაპონიის ზღვაში ჩავარდა. ეს იყო საკონტინენთაშორისო ბალისტკური რაკეტა, იარაღი, რომელიც აშშ-ისა და რუსეთის არსენაში ათასობით მოიპოვება და რომელსაც 15 ათასი კილომეტრის მოშორებით მდებარე მიზნის განადგურება შეუძლია. 2017 წელის ჩრდილოეთ კორეის სარაკეტო პროგრამისთვის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ქვეყანამ თებერვლის შემდეგ, ტექნოლოგიის დასახვეწად 21 რაკეტა გამოსცადა.

იაპონიისთვის ჩრდილოეთ კორეის ბირთვული მარაგი დიდ პრობლემას წარმოადგენს , საქმე ის არის, რომ იაპონია ძალიან მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა. მაგალითად, ამერიკული ბაზა იოკოსუკაში განლაგებულია ტოკიოს აგლომერაციის უშუალო სიახლოვეს, სადაც ათეულობით მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ჩრდილოკორეელების მიერ ბირთვული ან თუნდაც ქიმიური ან

[17] საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებულიდა გამოწვევები ჩრდილოეთ კორეის ბირთვული სარაკეტო პროგრამის მაგალითზე. გვ.1 .https://centerforis.blogspot.com/2018/06/blog-post.html?fbclid=IwAR3Me7iNjQaY8T3S0CQh1xl6lIfVkTiKPUqnCxkTW0hIK9hO5diU4jXIJZI-%20%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%98%E1%83%90%2020.04.2020-ნანახია 03.04.2020.

ბაქტერიოლოგიური იარაღის გამოყენებამ შეიძლება კატასტროფული შედეგი გამოიღოს იაპონიისთვის.

ჩრდილოეთ კორეა ამტკიცებს , რომ იგი ფლობს წყალბადის ბომბს, რომელსაც უფრო დიდი პოტენციალი გააჩნია, ვიდრე ჩვეულებრივ ატომურ ბომბს. რა თქმა უნდა, ეს თუ სიმართლეა , ჩრდილოეთ კორეის მოწინააღმდეგე ქვეყნები დიდი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებიან. სამხრეთ კორეის თავდაცვის სამინისტრო ვარაუდობს , რომ მის ჩრდილოეთ მეზობელს 2500-დან 5 ათასამდე მეტრული ტონა ქიმიური იარაღი გააჩნია, ჩრდილოეთ კორეა უკვე ფლობს ახლო და საშუალო მოქმედების ძალიან ეფექტურ რაკეტებს, რაც საფრთხეს უქმნის მის მთავარ გეოპოლიტიკურ და იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებს რეგიონში, პირველ რიგში რა თქმა უნდა იაპონიას და სამხრეთ კორეას, ასევე იმ 62 ათას ამერიკელ სამხედროს , რომლებიც ამ ქვეყნებში სამხედრო ბაზებზე არიან განლაგებული. ათწლეულების განმავლობაში აშშ ცდილობდა, ბირთვული იარაღი ხელმისაწვდომი არ ყოფილიყო ასეთი ქვეყნებისთვის, რომლებიც აგრესიულად არიან განწყობილნი. სხვადასხვა პოლიტიკის გატარების მიუხედავად ჩრდილოეთ კორეა მაინც განაგრძობდა ბირთვული იარაღის დამუშავებას. კლინტონი აქტიურად ცდილობდა მოლაპარაკებას, ბუშმა კონკრეტული სანქციები დაუწესა ქვეყანას, პრეზიდენტი ობამა კი „სტრატეგიული მოთმინების“ ტაქტიკას იყენებდა თუმცა უშედეგოდ.

ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლება, მართალია აცხადებს , რომ იგი მზად არის ბირთვული განიარაღებისთვის, თუმც მისი ეს ქმედება ეჭვებს მაინც იწვევს, ჩრდილოეთ კორეა, კორეის ომის შემდეგ ,მას შემდეგ, რაც დამყარდა კომუნისტური რეჟიმი ქვეყანაში ხისტ პოლიტიკას ატარებს, ასევე მოლაპარაკებების წარმოება დაიწყო რუსეთმა ქვეყანაში, ამ ყველაფრიდან გამომდინარე კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ ქვეყანამ შეიძლება ასე მოკლე ხანში შეცვალოს მისი პოლიტიკა და იქცეს დემოკრატიულ ქვეყნად, ამიტომ შეუძლებელია იმის განსაზღვრა, რომ შესაძლებელია ჩრდილოეთ კორეიდან შემცირდეს საფრთხე , სწორედ ამიტომ, როგორც აშშ-ისთვის ასევე იაპონიისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო ძლიერებას რეგიონში.

2.2 აშშ-ის ინტერესები იაპონიაში სამხედრო დასწრებასთან დაკავშირებით

აშშ-ის მხრიდან აზია-წყნარი ოკეანის მიმართ ინტერესის გამოვლენა არ არის გასაკვირი, თუ გავითვალისწინებთ გამოწვევებს , რომლის წინაშე დგას რეგიონი და ასევე მის კავშირებს რეგიონთან. აშშ-ის ინტერესები რეგიონში დაკავშირებულია მრავალ მნიშვნელოვან ფაქტორთან, პირველ რიგში სამხედრო ბაზები, რომელიც აშშ-ის მდგომარეობას უზრუნველყოფს რეგიონში. აშშ-ის აზია წყნარი ოკეანის რეგიონი სჭირდება საკუთარი ტერიტორიების დასაცავად, ასევე რეგიონულ ბაზარზე წვდომისთვის, რაც აშშ-სთვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. მთავარ მნიშვნელოვან ფაქტორად განიხილება ისიც, რომ ამერიკა ცდილობს შეინარჩუნოს რეგიონში ძალთა ბალანსი და ნებისმიერ ჰეგემონს, ან ძლიერ ჯგუფს, რომელიც ცდილობს გაძლიერებას რეგიონში, ხელი შეუშალოს. თუ რეგიონსი სხვა ქვეყანა შეძლებს ჰეგემონობის მოპოვებას , ან სხვა რომელიმე ჯგუფი გაძლიერდება , ეს რა თმა უნდა , ძლიერ დაასუსტებს ამერიკის ძალაუფლებას. აშშ-ს ბილატელარული ალიანსების სისტემა, რომელიც გააჩნია იაპონიასთან და რეგიონის სხვა ქვეყნებთან, საშუალებას აძლევს , შეინარჩუნოს სტატუსი აზია -წყნაი ოკეანის რეგიონში. განსაკუთრებული მნიშვნელობა რეგიონმა აშშ-სთვის შეიძინა მსოფლიო ფინანსური კრიზის მერე, როდესაც რეგიონმა მიიღო აქტიური ეკონომიკური და პოლიტიკური მოთამაშის სახე მსოფლიოში.

აშშ-ის პოლიტიკა რეგიონში გულისხმობს , რომ ამერიკამ შეძლოს უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ურთიერთობის ქსელის შექმნა თავის მრავალწლიან პარტმიორებთან, ასევე ჰქონდეს ურთიერთობა მის მთავარ მოწინააღმდეგე ჩინეთთან. აზია-წყნარი ოკეანის მნიშვნელობას, ხაზს უსვამს ჰილარი კლინტონის განცხადებაც, რომლის მიხედვით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონს, იგი მსოფლიო

პოლიტიკის მთავარ მამოძრავებელ ძალად განიხილავს. რეგიონი წარმოადგენს სტრატეგიულად მნიშვნელოვან ტერიტორიას, ის მოიცავს სამ ძირითად ეკონომიკურ ძალას-იაპონიას, აშშ-სა და ჩინეთს. სწორედ ამიტომ ამახვილებს აშშ განსაკუთრებულ ყურადღებას რეგიონის მიმართ.

აშშ-ის მიზანი იაპონიში იყო განიარაღებული იაპონიის დაცვა, თუმცა აშკარა იყო საბჭოთა ძალაუფლების გავრცელების შიში ცივი ომის პერიოდში, ცხადია სასურველი იყო დასაყრდენის ქონა ასეთ შემთხვევაში. სამხედრო ბაზების ქონა არც სამომავლოდ იქნებოდა ურიგო, ამრიგად ამერიკის ინტერესები იაპონიაში შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ :

- მორალური პასუხისმგებლობის მოხდა
- მოკავშირის გაჩენა საბჭოთა საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაშო
- სამხედრო ბაზების განთავსების შესაძლებლობა რეგიონში
- სავაჭრო პარტნიორის გაჩენა შორეულ აღმოსავლეთსი|იაპონური ბაზრის ათვისება
- აზიაში ამერიკული პოლიტიკს გამტარებელი პარტნიორის შემენა

იაპონია მნიშვნელოვან როლს არსულებდა აშშ-ის სამხედრო ძალების ბაზირების და საომარ ოპერაციებში ლოჯისტიკური უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ მხრივ, მნიშვნელოვან იყო იაპონიის ტერიტორიაზე განთავსებული სამხედრო კონტიგენტის ჩართულობა, როგორც კორეის ასევე ვიეტნამის ომებში. შეერთებული შტატები იაპონიის სამხედრო ძალას აზიაში სტრატეგიული გაძლიერების შესაძლებლობად იყენებდა. ამერიკა, როგორც საბჭოთა ძალების, ასევე ჩინეთის გაფართოების შესაძლებლობასაც ზღუდავდა, სწორედ ეს იყო მიზეზი 1954 წელს საპოლიციო ჯარების შექმნისა, მიუხედავად იმისა , რომ კონტიტუციის მე-9 მუხლი ზღუდავდა ჯარების შენარჩუნებას ან ამ ჯარების გამოყენებას საერთაშორისო დავების მოსაგვარებლად. 1960 წელს შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ შეთანხმებას გადახედეს, რამაც შეერთებულ შტატებს მიანიჭა უფლება, ჰქონოდა

იაპონიაში ბერკეტები, რომელიც თავდასხმის შემთხვევაში დაიცავდა ქვეყანას. რა თმა უნდა ეს იყო აშშ-სთვის პირველი მუდმივი საყრდენი აზიაში. 1970 წელს , როცა შეერთებულმა შტატებმა დაიწყო ვიეტნამიდან ჯარების გამოყვანა, იპონიისა და აშშ-ის ალიანსი უფრო გაღრმავდა. საბჭოთა კავშიის დაშლის შემდეგ კი წამოვიდა ის ტენდენცია , რომ იაპონიამ დამოუკიდებლად უნდა შეძლოს შესაძლო საფრთხის თავიდან აცილება. თუმცა სხვადასხვა საკითხის წამოჭრის შემდეგ ამერიკისთვის იაპონია უფრო მნიშვნელოვან ქვეყნად იქცა , აშშ-იაპონიის ურთიერთობების გაღრავებაზე და გამყარებაზეა დაფუძნებული თუ რა როლი ექნება აშშ-ის აზიაში მომავალში.

აშშ-ისა და იაპონიას შორის არსებობს უთანხმოება გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით, იაპონიას სურს დმოუკიდებელ ქვეყანად იქცეს , ჰქონდეს ურთიერთობები მეზობელ ქვეყნებთან და არ წარმოადგენდეს აშშ-ზე დაქვემდებარებულ ქვეყანას. თუმცა რეგიონში, როცა იაპონიის ინტერესებს ვახსენებთ, რთულია მხოლოდ იაპონური ინტერებზე ვისაუბროთ, რადგან საკითხის განხილვისას ყოველთვის ჩანს აშშ-ის არსებობა რეგიონში, იაპონია თავის გადაწყვეტილებებს უმრავლეს შემთხვევაში , ამერიკის ზეწოლით იღებს, მაშინ როცა აშშ-ის ინტერსებში შედის რაიმე საკითხი, ამ ზეწოლას არც იაპონია არ უარყოფს .

აშშ-ის ჩართულობა იაპონიის მიერ წამოჭრილ ნებისმიერ საკითხში და მეორეს მხრივ იაპონიის მიერ ამერიკის განხილვა, როგორც პარტნიორი ქვეყანა, განაპირობებს აშშ-ის ძალაუფლების შენარჩუნეას რეგიონში, სწორედ ამიტომ უჭერს მხარს აშშ იაპონიას მეზობლებთან წამოჭილ ტერიტორიულ დავაში , როგორც ჩინეთთან ასევე რუსეთთან , მართალია ეს ბევრს ნიშნავს იაპონიისთვის და სწორედ ამერიკასთან პარტნიორობა აძლევს პრიორიტეტებს იაპონიას , თუმცა ამერიკისთვის ეს მცირედია, რისი გაკეთებაც შეუძლია იაპონიისთვის , რადგან აშშ უფრო ბევრს იღებს იაპონიისგან, ვიდრე იაპონია ამერიკისგან . მართალია აშშ-ისა და იაპონიის ურთიერობა მრავალ საკითხში აღიქმება ,როგორც ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო თანამშრომლობად, თუმცა ჩემი აზრით აშშ-ის ურთიერთობა იაპონიასთან უფრო მომგებიანია აშშ-სთვის, რადგან იაპონიას არ გააჩნია მსოფლიო ჰეგემონობის

სურვილი, თუ არ იარსებებდა აშშ , იაპონია შეძლებდა მშვიდობიამიანი ურთიერთობების დამყარებას მეზობელ ქვეყნებთან, აშშ არსებობა იაპონიაში კი ცვლის ყველაფერს , იაპონიისთვის საყრდენს წარმოადგენს აშშ , ხოლო აშშ-ისთვის იაპონია წარმოადგენს ერთადერთ შესაძლებლობას , რომ შეასუსტოს ჩინეთის უფრო სწრაფი გაძლიერება.

იაპონიას რეგიონში ჰყავს მეტოქეები, რომელთა ქმედებებიც მას არ მისცემს შესაძლებლობას, რეგიონში ჰეგემონობის სურვილი ჰქონდეს, ჩინეთი მასზე მაღლა მდგომ სახელმწიფოს წარმოდგენს, თუმცა აშშ-სთან არსებული ალიანსი იაპონიას ანგარიშგასაწევ ძალად აქცევს რეგიონში, რაც მისი სიძლიერიდან გამომდინარეობს. რეგიონში ამერიკის ძალაუფლების შენარჩუნებას ხელსუწყობს სახელმწიფოებთან ალიანსების არსებობა, რაც აშშ-თვის მნიშვნელოვან ბერკეტებს წარმოადგენს , რათა თავისი მიზნები განახორციელოს რეგიონში. ამერიკა ხედავს , რომ ჩინეთი ცდილობს მის ჩანაცვლებას რეგიონში, იაპონია კი წარმოადგენს ძალას , რომელიც სტატუს შეუნარჩუნებს. 2018 წლის იანვარს აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ ჩამოყალიბებულ იქნა ეროვნული თავდაცვის სტრატეგია, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სახელმწიფომ, აღნიშნულ დოკუმენტში ნათქვამია , რომ "დიდ სახელმწიფოთა შორის მეტოქეობა და არა ტერორიზმი, არის დღესდღეობით აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების მთავარი ფოკუსი". აშშ-ის მთავარ მიზანს წარმოადგენს ამერიკა იყოს ძლიერი და არ დაკარგოს თავისი ადგილი მსოფლიო ასპარეზზე. მიუხედავად იმისა , რომ აშშ ნეიტრალიტეტს იჭერს სადაო ტერიტორიებთან დაკავშირებით , იაპონიას მხარს უჭერს ჩინეთთან სადაო ტერიორიების საკითხში. ეს კი გამოხატულია ჩინეთისგან მომდინარე საფრთხით.

იაპონია არის აშშ-ის დამხმარე ქვეყანა რეგიონში და შეიძლება ითქვას იაპონიის დახმარების გარეშე აშშ-ის რეგიონში ყოფნა საკითხავი იქნებოდა, რეგიონში სტატუსის შესუსტება კი, რა თქმა უნდა, ცუდად იმოქმედებს აშშ-ის იმიჯზე მსოფლიო ასპარეზზე, ასევე საერთაშორისო სისტემაში, რადგან ჩინეთის გაძლიერების პერსპექტივები ნათლად იკვეთება, რაც აშშ-ის ძლიერ აშინებს. მიუხედავად იმისა, რომ აშშ წარმოადგენს ძლიერ სხელმწიფოს და ჰეგემონს

მსოფლიოში, შეიძლება დავსვათ კითხვა , თუ რატომ ჭირდება აშშ-ს იპონია და რატომ უღირს , რომ პატარა კუნძულების გამო დაუპირისპირდეს ჩინეთს? თუმცა აშშ-ის უღირს ეს დაპირისპირება, რადგან ძალაუფების გაძლიერებისთვის და სტატუსის შესანარჩუნებლად სჭირდება რეგიონში ყოფნა , თუ რეგიონში არ ექნება აშს-ის დასაყრდენი პუნქტი მაშინ მისი არსებობა რეგიონში კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა, შეუძლებელიც იქნებოდა, ეს კი ძლიერ დააზარალებდა შეერთებულ შტატებს და შეასუსტებდა. მართალია იგი უძლიერეს ქვეყანას წარმოადგენს, მაგრამ სტრუქტურული რეალიზმის თანახმად, ძალაუფლება არის ძლიერ სახელმწიფოთა გადარჩენის მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი და ძლიერ სახელმწიფოებს პირველ რიგში სჭირდებათ ბრძოლა ძალაულების შენარჩუნებისთვის და უფრო მეტი ძალაუფლების მოსაპოვებლად, რადგან სხვა სახელმწიფოებმა არ გაუსწრონ და არ ჩამოართვან მათ წლების მანძილზე მოპოვებული სტატუსი.

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიას აშშ-თან სტრატეგიული პარტნიორობა აკავშირებს და უსაფრთხოების გარანტს წარმოადგენს რეგიონში , ჩინეთისგან და რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხის შესაკავებლად, მაინც არსებობს განცდა იაპონელ მოქალაქეებში, რომ ამერიკა მნიშვნელოვნად ზღუდავს იაპონიას და მას ხელს უშლის საკუთარი ინტერესების გატარებაში რეგიონთან მიმართებაში. ამ აზრის მიმდევრები მიიჩნევენ ,რომ იაპონიამ უნდა გააუქმოს საკუთარი შეზღუდვები სამხედრო ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით და დაიწყოს რეგიონალური პოლიტიკის წარმოება აშშ-სთან შეთანხმების გარეშე.

იაპონიას გააჩნია დიდი ეკონომიკური პოტენციალი , აქედან გამომდინარე შეიძლება ვივარარაუდოთ, რომ მას ამბიციები გაუჩნდება და ნაკლებად გაითვალისწინებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. იაპონიას გააჩნია საუკეთესო სამეცნიერო სამრეწველო ბაზა იმისთვის, რომ სწრაფად შექმნას არა მხოლოდ ბირთვული იარაღის შთამბეჭდავი მარაგი, ასევე რაკეტებიც მათთვის. აღსანიშნავია ისიც, რომ მმართველი პარტიის ხელმძღვანელობაში დამკვიდრდა მოსაზრება, რომ აშშ-ის ბირთვული ქოლგა საკმარისი არ არის იაპონიის დასაცავად და იაპონიას აუცილებლად უნდა ჰქონდეს საკუთარი ბირთვული ძალები. 2006 წელს იაპონიის

მთავრობის მიერ მოხსენების თანახმად, იაპონიას ბირთვული შეიარაღების შესაქმნელად 3-5 წელიწადი და 1,8-2,7 მილიარდი დოლარი დაწირდება, რაც არც ისე წარმოუდგენელი ხარჯია იპონიისთვის.

იაპონიის პირველი პრემიერ მინისტრი რომელიც მიიჩნევდა, რომ იაპონიას ბირთვული იარაღი უნდა ჰქონოდა ნაბოსუკე კისი იყო (1957-60 წლებში მოღვაწეობდა), ამჟამინდელი პრემიერ მინისტრის სინძო აბე ღვიძლი შვილიშვილია, რომელიც თავს კისის მემკვიდრედ მიიჩნევს. სინძო აბეს ასევე სურს ცვლილებები შეიტანოს კონსტიტუციის მე-9 მუხლში, რათა შეიარაღებული ძალების უფრო მყარი იურიდიული სტატუსი შექმნას. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხვის მიხედვით იაპონელთა მოქალაქის უმრავლესობა იზიარებს სინძო აბეს მოსაზრებას. იაპონელები კონსტიტიციურ შეზღუდვას, ეროვნული ღირებულებების შეურაცყოფად აღიქვამს, ასევე გარკვეული ნაწილი მოსალოდნელი ჩრდილოეთკორეული საფრთის შესაჩერებლად ჯარის გაძლიერებას მხარს უჭერს.

ცივი ომის პერიოდში იაპონიასა და აშშ-ის შორის უფლებამოსილების გამიჯვნა მოხდა -პირველი პასუხისმგებელი იყო იაპონიის კუნძულებისა და მისი მიმდებარე საზღვაო ზონის დაცვაზე, ხოლო მეორე შეტევით ოპერაციებზე მის ფარგლებს გარეთ. ბოლო წლებში იაპონიის მთავრობამ ახალი,, „კოლექტიური უსაფრთხოების“ კონცეფციის დამკვიდრება დაიწყო, რომლის თანახმად იაპონიამ შეიარაღებული ძალები შეიძლება გამოიყენოს არა მხოლოდ საკუთარი თავის, არამედ მოკავშირეების დასაცავად, მაგალითად თუ ჩრდილოეთ კორეა იერიშს მიიტანს არა იაპონიის ტერიტორიაზე, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებში განლაგებულ ამერიკულ ძალებზე, რამაც ბუნებრივად წარმოშვა კიდევ ერთი „პრევენციული თავდაცვის“ კონცეფცია, რომელიც შესაძლებელს ხდის იერიშის მიტანას ჩრდიოკორეულ ბაზებზე. იაპონია მიიჩნევს , რომ მსგავსი დავდასხმა არსებითად თავდაცვითი იქნება და შესაბამისად კონსტიტუციას არ დაარღვევს. კონსტიტუციის მიხედვით იაპონიას ძალების გამოყენების უფლება არ აქვს მანამ სანამ სხვა არ დაესხმება მას თავს.

იაპონიის შესაძლო გაძლიერებამ გამოიწვია ჩინეთის და რუსეთის შეშფოთება. შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იაპონია რუსეთისა და ჩინეთის წინააღმდეგ მაინც

ვერაფერს გახდება, რადგან ბირთვული იარაღი არ გააჩნია. ისინი არ ითვალისწინებენ იმ გარემოებას, რომ იაპონიას ბირთვული იარაღის შექმნა ძალიან სწრაფად შეუძლია. იაპონიას აქვს როგორც ურანის, ასევე პლუტონის მარაგი. 2005 წლის დასაწყისში ქვეყანა ფლობდა 43.8 ტონა პლუტონს , აქედან 5.9 ტონა თავად იაპონიის ტერიტორიაზე ინახებოდა, ხოლო 37,9 ტონა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთში , თუმცა ბევრია ხელისშემშლელი ფაქტორები, პირველ რიგში კი ამერიკის შეერთებული შტატების ფაქტორი იგრძნობა. სრული ამერიკული პროტექტორატის მაგალითი იყო , 2007 წელის როცა ამერიკა შეეცადა დაერწმუნებინა იაპონია და კორეა , რომ ამერიკა მოახერხებდა მათ სრულ დაცვას. ამერიკის დასაყრდენ პუნქტს სწორედ იაპონია წარმოადგენს აზიაში, ამიტომ ამერიკისთვის , რა თმა უნდა , არახელსაყრელი იქნება თუ იაპონია ბირთვული ქვეყანა გახდება, შესაბამისად მას აღარ დასჭირდება შეერთებული შტატების დახმარება და შესაბამისად მათ მოუწევთ ამერიკული სამხედრო ბაზების დათმობა, რაც არანაირად არ შედის ამერიკის გლობალური სტრატეგიის გეგმებში. საერთაშორისო გავლენის შენარჩუნების მიზნით, ამერიკა მზად არის მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში საჭიროებისამებრ გამოიყენოს იაპონიის სამხედრო ძალები ,ამას იაპონიის და სამხრეთ კორეის ნატოს-თან თანამშრომლობის გაღრმავების ინიციატივაც ემატება თან. ამ მოსაზრებიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ , რომ იაპონიას ნამდვილად აქვს ბირთვული პოტენციალი , თუმცა რამდენად შეძლებს ამის განხორციელებას საკითხავია, ხელისშემშლელი ფაქტორიდან გამომდინარე, თუმცა აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა არ გამორიცხა , რომ ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებული საფრთხის გამო იაპონიასა და სამხრეთ კორეას შეიძლება საკუთარი ბირთვული იარაღი გუჩნდეს. ჩრდილოეთ კორეის პრობლემა ქმნის საუცხოო საბაბს იაპონიის არმიისა და ფლოტის გაძლიერებისათვის, ისე რომ ეს რუსეთისა ან ჩინეთის საწინააღმდეგო აქტად არ აღიქვან. იაპონიას ორივე ქვეყანასთან ტერიტორიული დავის არსებობის გამო, იაპონიის შეიარაღებული ძალები უნდა გაძლიერდეს და დაახლოებით იმავე მოცულობის ბირთვული არსენალი შექმნას, როგორც ჩინეთს გააჩნია, თუმცა ამერიკისთვის ეს რამდენად

მისაღები იქნება? იაპონია თუ გაძლიერდება ის დამოუკიდებლად შეძლებს არსებობას. დღეს საერთაშორისო ასპარეზზე ქვეყანამ ,რომ დაიმკვიდროს საკუთარი ადგილი , ამისთვის ჭირდება ძლიერი ეკონომიკა და შეიარაღებული ძალები, იაპონიას გააჩნია ძლიერი ეკონიმიკა, თუმცა ის შეზღუდულია შეიარაღებული ძალების გამოყენებასა და გაძლიერებაში. იაპონია თუ გაძლიერდება და ექნება დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალები , მას აღარ დაჭირდება შეერთებული შტატების დახმარება, ეს კი შეერტებული შტატებისთვის მიუღებელია.

იაპონიაში არსებული ამერიკის სამხედრო ბაზა ოკინავაში იწვევს, ოკინაველთა მოქალაქის აგრესიას. ამერიკელების საზღვაო ქვეითთა სამხედრო-საჰაერო ბაზა იაპონიის კუნძულ ოკიმავაზე, ფუტენმას დასახლებაში მდებარეობს. ბაზის ამერიკელი სამხედროები ძირითადად ვერტმფრენებისთვის იყენებენ. ისედაც მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიზე ორი ათასი ამერიკელი სამხედროა განლაგებული. ეს კი ოკინაველებისთვის უკვე თავის ტკივილია. თვითმფრინავების და ვერტმფრენების ხმით შეწუხებული მოსახლეობა პროტესტს გამოთქვამს. დროდადრო მომხდარი ინციდენტი კი მათ უკმაყოფილებას კიდევ უფრო აძლიერებს. 2006 წელს იაპონია და შეერთებული შტატები ფუტენმას ბაზის დახურვაზე და აღჭურვილობის ახლოს მდებარე კუნძულზე გადატანაზე შეთანხმდნენ. ხელშეკრულება რვა ათას სამხედროზე გათვლილი ბაზის გადატანას შეერთებული შტატების გუამის ტერიტორიაზე ითვალისწინებს, თუმცა ფუტენმაზე კვლავ შენარჩუნდე ბაზის ლოჯისტიკური ნაწილი. ხელშეკრულების ხელმოწერას 15 წლიანი მოლაპარაკებები უძღოდა წინ. უკანასკნელმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ოკინაველთა დაახლოებით 70 პროცენტი სამხედრო ბაზის ახლოს მდებარე კუნძულზე გადატანას აპროტესტებს და ოკინავიდან მის მთლიანად გაყვანას მოითხოვს. ვაშინგტონი კი ამ იდეას ეწინააღმდეგება. შეერთებული შტატები არსებული ხელშეკრულების გადახედვას არ აპირებს, ამ საკითხის გაჭიანურებამ შესაძლოა დაძაბოს მეგობრული ურთირთობები ამერიკას და იაპონიას შორის. ოკინავას უნივერსიტეტის პროფესორიმასააკი გაბე ამბობს, რომ ტრადიციულად იაპონია შეერთებულ შტატებს არასდროს და არაფერზე უბნება უარს, ასევე

მასობრივი განადგურების იარაღი ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ინახება, ქიმიური, ბიოლოგიური და ბირთვული იარაღის ჩათვლით იაპონიაში, რაც ძლიერ აბინძურებს და აზარალებს იაპონიას.

აშშ-ს იაპონიასთან სავაჭრო ურთიერთობებში გააჩნია უარყოფითი სავაჭრო ბალანსი , ამერიკისთვის იაპონია წარმოადგენს კონკურენტ ქვეყანას , რაც კარგად გამოიკვეთა „ჯენერალ მოტორსსა“ და „ტოიტას“ შორის არსებულმა მონაცემებმა , რის მიხედვითაც წლების განმავლობაში პირველ ადგილას მყოფმა „ჯენერალ მოტორმა“ უკანა ფლანგზე გადაინაცვლა და პირველი ადგილი იაპონურმა მანქანათმშენებელმა კომპანიამ , „ტოიოტამ“ დაიჭირა.სპარსეთის ყურის კრიზისიდან მოყოლებული , რომელიც 1978 წლიდან მომდინარეობს, „ტოიოტამ“ გაყიდვებში გადაასწრო „ჯენერალ მოტორსს“, მიუხედავად იმისა , რომ ხარისხითა და კომფორტით ამერიკული მანქანები ჯობდა , მოპოვებული გაყიდვების წყალობით იაპონიამ მალე გააუმჯობესა „ტოიოტა“-ს ხარისხი , 90- იან წლებში პირველი ადგილი დაიკავა , ხოლო 2003 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, "ტოიოტამ" თავის ამერიკელ კონკურენტზე 43000 ავტომობილით მეტი გაყიდა . იაპონელებმა ქარხნების მშენებლობა ამერიკის ტერიტორიაზეც კი დაიწყეს. ამერიკას „ჯენერალ მოტორსის“ უკანა პლანზე გადაწევა მძიმე ტვირთათ ადევს და სხვადსხვა გზით ცდილობს პრობლემის გადაჭრას, მართალია გასულ საუკუნეში მათ საერთო ქარხანა შექმენს , „ტოიოტამ“ და „ჯენერალ მოტორსმა“ , თუმცა უშედეგოდ , გაყიდვები ძალიან დაბალი იყო. ტრამპმა განაცხადა ,რომ ის გაზრდის ალუმინისა და ფოლადის ტარიფს , რაც გამოიწვევს იაპონიისთვის დაახლოებით 440 მილიონი დოლარით გაძვირებას იაპონური საქონლის, რაზეც იაპონია საპასუხო რეაქციის უფლებას იტოვებს .

მართალია ამერიკის ინტერესებში არ შედის იაპონიის ეკონომიკური აღმავლობის ზრდა , რადგან ეს გამოიწვევს იაპონიის უფრო მეტად გაძლიერებას და მისი მიზნების და ამოცანების იოლად განხორციელებას და დამოუკიდებლობას, თუმცა იაპონია მაინც მოწინავე ქვეყანას წარმოადგენს მსოფლიოში ეკონომური კუთხით. მიუხედავად ყველაფრისა ამერიკა არ დაუშვებს იაპონიის დამოუკიდებლობას და მის

უკანა ფლანგზე გადაწევას. ამას ადასტურებს ასევე ის ფაქტი, რომ აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას , ვიზიტის დროს ტოკიოში , 2014 წელს გაკეთთა განცხადება , რამაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ორ ქვეყანას შორის არსებული ალიანსის მნიშვნელობაზე. პრეზიდენტმა განცხადებაში ასევე ახსენა თანამშრომლობის და უსაფრთხოების შესახებ შეთანხმება . სტრატეგიული ურთიერთობების არსებობა კი მისთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მზად არის ამერიკა მხარი დაუჭიროს იაპონიას უსაფრთხოების საკითხებში, რადგან იაპონიის უსაფრთხოებისთვის საფრთხის შექმნა აშშ-სთვისაც წარმოადგენს სერიოზულ საფრთხეს. ასევე თავდაცვის საკითხებში ჯეიმს მატის-ის მკიერ გაკეთებულ განცხადებაში , 2017 წელს , კიდევ ერთხელ გამოვლინდა მზადყოფნა შეასრულოს აშშ-მ იაპონიის თანამშრომლობის და უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების მე-5 მუხლით ნაკისრი ვალდებულება. ასევე ტრამპმა, 2017 წლის თებერვალში , პატივისცემა გამოთქვა არსებული ალიანსის მიმართ და მზადყოფნა გამოაცხადა მე-5 მუხლის შესრულებისთვის. ამერიკა ყოველმხრივ ცდილობს პოზიციების გამყარებას იაპონიაში , რადგან ის იაზრებს იაპონიის დიდ მნიშვნელობას ამერიკის ინტერესების განხორციელებისთვის.

თავი სამი . აშშ-იაპონიის ურთიერთობის გაღრმავების პერსპექტივები

აშშ-იაპონიამ 1993 წლის ივლისში წამოაყენეს საერთო დღის წესრიგი თანამშრომლობის შესახებ გლობალურ პერსპექტივაში. დღის წესრიგი ორიენტირებული იყო ერთობლივად გლობალური პრობლემების გადაჭრაზე,როგორებიცაა გარემოს დაფინძურება,ჭარბი პოპულაცია და სხვა ბუნებრივი და ადამიანის მიერ გამოწვეული კატასტროფები. მიღებული დღის წესრიგი ეყრდნობა ოთხ ძირითად სვეტს, ესენია:

ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ხელშეწყობა-აღნიშნულის ფარგლებში მოიზარება ქალტა განვითარებისა ხელშეწყობაც, ქალებისთვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების ზრდა.გრძელვადიანმა იაპონია-ასშ-ს პროეტმა დიდი შედეგი გამოიღო ჯანმრთელობის ზრუნვატან დაკავშირებულ საკითხებში, როგორიცაა მაგაითად პოლიოლიუმის პრატიკულად სრულად ამოღება დასავლეთ წყნარ ოკენეთში.ყურადღება გამახვილდა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე და აფრიკის რეგიონზე.ამ მიმართულებით განხორციელებული პირველი ერთობლივი მისია იყო 1998 წელს ზამბიაში, არასრულწლოვანთა ჯანმრთელობის შესწავლის და რიგი ავადობების შესასწავლად, როგორიცაა მაგალიტად შიდსი.კონფერენციები ტარდება ისეთი კვლევების შესახებ, რომელიც ეძღვნება მალარიის,ტუბერკულოზის,დენგოს და სხვადა თავიდან აცილებას;

გლობალური სტაბილურობის გამოწვევებზე რეაგირება-ნარკოტიკების საერთაშორისო ტრეფიკინგის წინააღმდეგ სამოქმედოდ პერუში ჩატარდა მოსავლის ცვლილებათან დაკავშირებული კონფერენცია, რომელიც ისახავდა მიზნად მოსახლეობის დამოკიდებულების ცვლილებას ნარკოტიკების წარმოებაზე.ამ მიზნით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს მიაწოდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკები და სასწავლო მასალები.სახელმწიფოები ასევე ერთობლივად მუშაობენ მიწისძვრის და ნავთობის დაღვრის შედეგად გამოწვეული კატასტროფების დასაძლევად.პირველი ნავთობის დაღვრის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა ჩატარდა 1998 წელს ოქტომბერში;

გლობალური გარემოს დაცვა-ამერიკა და იაპონია აქტიურად მუშაობენ გლობალური მასშტაბის პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა კლიმატის

ცვლილება, ოზონის ფენის განადგურება,ბიომრავალფეროვნება,ტოქსიკური ნარჩენები.პროექტებში შედის ჭაობიანი ადგილების, ჭაობის ფრინველების, მარჯნის რიფების,ტყეების და ოკეანეების დაცვა;

მეცნიერების და ტექნიკის მიღწევები-სატრანსპორტო სფეროში თანამშრომლობით ხორციელდება სატრანსპორტო ექსპრტების შეხვედრები და ამ მხრივ მდგრადი სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობები ხორციელდება. ეს ოთხი მიმართულება მოიცავ 18 სხვადასხვა მიმართუებით წამოწყებულ ინიციატივებს. საქმიანობა მიმდინარეობს წელიწადში ერთხელ ვიცე-მინისტრის დონეზე გამართულ პლენალურ სხდომაზე.სახელმწიფოები თანხმდებიან არასამთავრობო ორგანიზაციებთან კოორდინაციის საჭიროებაზე დღის წესრიგის განხორციელებაში.

ამერიკა და იაპონია რეგულარულად მართავენ სისტემებისა და ტეგნოლოგიების ფორუმებს,თავდაცვით ტექნოლოგიებზე თანამშრომლობის გასაძლიერებლად. აქტიურად მუშაობენ ერთობლიბ კვლევებზე სარაკეტო ძრავებთან დაკავშირებით,1992 წელს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.აწარმოებენ ერთობლივ კვლევას ფოლადის მოწინავე ტექნოლოგიაზე, სატრანსპორტო საშუალების წამყვან ტექნოლოგიებზე კერამიკული მასალის გამოყენებით,1995 წელს დადებული ხელშეკრულების მიხედვით.

იაპონიასთან ალიანსი ამერიკისთვის ყოველთვის იყო უსაფრთხოების ქვაკუთხედი, თუმცა გამოჩენილმა საფრთხეებმა ჩრდილოეთ კორეიდან, ჩინეთიდან და თავად ალიანსიდან, კითხვის ნიშნები გააჩინა.მეორე მსოფლიო ომის შემდეგ,1951 წელს დადებული სან-ფრანცისკოს ხელშეკრულების შემდეგ, ამერიკის და იაპონიას ალიანსი ისეთი მნიშვნელოვანია, როგორც არასდროს ორივე სახელმწიფოს ინტერესებისთის აზიაში. ბოლო პერიოდში ზემოთჩამოთვლილი გამოწვევების საპასუხოდ, ალიანს მოუხდა გადაეხედა რეგულაციებისთვის და იაპონური არმიისთვის უფრო დიდი როლი მიენიჭებინა.ამავედროს ისეთმა საკითხმა, როგორიცაა მაგალითად ამერიკული ბაზები ოკინავაზე და ხარჯები, კითხვის მიშნის ქვეშ დააყენა ალიანსის მდგრადობა გრძელ პერსპექტივაში.ტრამპმა არაერთხელ

აღნიშნა, რომ მოკავშირეები ამერიკას გვერდით უნდა დაუდგნენ ხარჯებთან და გასაღებ თანხებთან დაკავშირებით,ეს ეხებოდა იაპონიასაც.

იმაზე საუბარი თუ რამდენს ხარჯავს ამერიკა და რამდენს იაპონია რთულია. 2017 წელს იაპონიის თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ იაპონიამ გადაიხადა მთლიანი ღირებულების 86 პროცენტი, ხოლო მედია საშუალებების თქმით ეს რიცხვი 40-დან 50 პროცენტს შორის მერყეობდა.იაპონია პასუხისმგებელი სახელმწიფოა ამერიკის წინაშე, როგორც მასპინძელი სახელმწიფო,რაც დაკავშირებულია ამერიკულ ჯარებთან და მათ მხარდაჭერასთან ქვეყნის მასშტაბით, ეს ყველაფერი ჯდება 1,7 მილიარდიდან 2,1 მილიარდამდე. შეერთებული შტატები ყოველწლიურად სამხედრო ბაზებზე ხარჯავს დაახლოებით 2მილიარდ დოლარს.ექპერტები აღნიშნავენ, რომ შტატები საკუთარი ბაზებით იაპონიაში ფლობს მნიშვნელოვან სტრატეგიულ ბერკეტებს ჩრდილოეთ კორეიდან და ჩინეთიდან მოსალოდნელი საფრთხის წინაშე, ასევე აღნიშნული ბაზები ამერიკის სამხედრო ხარჯებს ამცირებს. იაპონიის გაძლიერებული თავდაცვისუნარიანობით გაიზარდა აშშ-იაპონიის ინტეგრაცის დონე და შესაბამსად ალიანსი ბალანსირებულ სახეს ატარებს. 2011 წელს იაპონიაში ცუნამისა და მიიისძვრის შედეგად მიყენებული ზიანის ირგვლივ ერთობლივმა მუშაობამ არნახული მასშტაბები მიიღო ალიანსის ისტორიაში. აღსანიშნავია, რომ 2018 წელს იაპონიამ დაამტკიცა 47 მილიარდი დოლარი თავდაცვის ბიუჯეტი, სადაც განსაკუთრებული ადგილი უკავია შეერთებული სტატებიდან იარაღის შეძენას.აღნიშნული ბიუჯეტი იმ გეგმის ნაწილია, რაც 2023 წლამდე ხარჯების 240 მილიარდამდე გაზრდას გულისხმობს.

საგულისხმოა ის გამოწვევები, რომლებიც ალიანსის წინაშე დგას და მის მდგრადობას საფრთხეს უქმნის,აქ სახელმწიფოებს ფრთხილი და წინადახედული პოლიტიკის გატარება სჭირდებათ, რათა არსებული საფრთხეების საპასუხოდ დასუსტების ნაცვლად უფრო განმტკიცდეს და გამყარდეს მათი ალიანსი.

აშშ-სა და იაპონიისთვის ერთ-ერთ გამოწვევას წარნოადგენს ჩრდიოლოეთ კორეა რომლის ესახებაც ვისაუბრეთ წინა თავშიც , საფრთხეს ჩრდილოეთ კორეიდან იაპონიამ უწოდა „ყველაზე სერიოზული და აქტუალური“. აღნიშნული პრობლემა

სათავეს იღებს 90-იანი წლებიდან, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ გაისწროლა ბალისტიკური რაკეტა იაპონიის ზღვაში და დატოვა ბირთვული გაუვცელებლობის ხელშეკრულება.ტოკიომ და ვაშინგტონმა მჭიდრო თანამშრომლობა დაიწყეს 1998 წლიდან სარაკეტო თავდაცვაზე, როდესაც ჩრდილოეთ კორეამ კიდევ ერთხელ ისროლა რაკეტა იაპონიის მიმართულებით.ამის შემდეგ ჩრდილოეთ კორეამ ათეულობით რაკეტას მისცა იაპონიისკენ გეზი და განაცხადა, რომ აქტიურად შეუძლია რაკეტების წარმოება.იაპონიის მტკიცებით ჩრდილოეთ კორეამ გაიტაცა იაპონიის 17 მოქალაქე 1970 წელს, რომელთაგან 12 კვლავ დაკარგულია.

ასევე რეგიონში საფრთხეს წარმოადგენს ჩინეთი, 1996 წლის ტაივანის კრიზისის დროს, როდესაც ჩინეთის სარაკეტო ტესტის საპასუხოდ ამერიკამ გაგზავნა დანაყოფი რეგიონში, ჩინეთის მზარდი აღმასვლა პრობლემად იქცა ალიანსისთვის.2010 წელს ჩინეთმა გაისწრო იაპონიას ეკონომიკური მაჩვენებლებითმ ასევე მისმა თავდაცვითმა და სამხედრო მოდერნიზაციამ შეშფოთება გამოიწვია ჩინეთის გლობალურ ამბიციებთან ერთად. 2011 წელს ბარაკ ობამამ გამოაცხადა ახალი სტრატეგია, რაც გულისხმობდა აზიაში სამხედრო და ეკონომიკური კავშირების გაძლიერებას.ჩინეთსა იაპონიას შორის დავა დაკავშირებული სამხრეთ ჩინეთის ზღვაში სენაკაიდ და დიაიუს კუნძულებთან.ვაშინგტონი ინარჩუნებდა ნეიტრალიტეტს საკიტხის მიმართ, თუმცა ბოლო ადმინისტრაცია მხატს უჭერს კუნძლებზე იაპონიის უფლებებს.

იაპონიას და აშშ-ის შორის არსებობს ოკინავას დავაო საკითხი ,ოკინავას პრეფექტურა ათწლეულების განმავლობაში მასპინძლობდა დაახლოებით ორმოცდაოთხი ათას ამერიკელ ჯარისკაცს.ბევრი ოკინაველი წინააღმდეგია პრეფექტურაში სამხედრო საქმიანობის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკა იაპონიიას დაპრისპირების ადგილი იყო რამაც დიდი მსხვერპლიც გამოიწვია. დღეს უკმაყოფილების დიდი მიზეზია აშშ-ს საჰაერო ბაზა, რომელიც სკოლებთან და საავადმყოფოებთან ახლოს მდებარეობს.მიუხედავად იმისა, რომ ბაზა ეკონომიკურ სარგებელს უზრუნველყოფ სამუშაო ადგილების წყალობით, მაინც უკმაყოფილებაა უბედურ შემთხვევებსა და ძალადობრივ აქტებთან

დაკავშირებით.1995 წელს 12 წლის გოგონას გაუპატიურების გამო ამერიკელი სამხედროების მიერ, გამოიწვია 85 ათასი ადამიანის საპროტესტო გამოსვლები. მსგავსი სახის ბრალდებები გამოჩნდა 2008 და 2012 წლებშიც. 2006 წელს დაძაბულობის შესამსუბუქებლად შეთანხმდენენ, რომ ბაზას გადაიტანდნენ ნაკლებად დასახლებულ მხარეში, თუმცა შეთანხმება ჯერ არ შესრულებულა.

ალიანსის წინაშე მდგარი გამოწვევების მიუხედავად,მჭიდრო პარტნიორობის ათწლეულებმა გამოიწვია აზიაში უსაფრთხოების საკითხების მიმართ საერთო ხედვის ჩამოყალიბება.ჩრდილოეთ კორეისა და ჩინეთიდან მოსალოდნელი საფრთხის შედეგათ, ტოკიოსა და ვაშინგტონის ალიანსი უფრო გამტკიცდება, განმტკიცდება თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორიცაა კიბერუსაფრთხოება,ატომური იარაღის წინაღმდეგ ბრძოლა და რეგიონული უსაფრთხოება. გამოწვევებმა აჩვენა , რომ მსოფლიოში უსაფრტხოების შესანარჩუნებლად , რომელიც მომდინარეობს ჩრდილოეთ კორეიდან , ასვე ჩინეთის ჰეგემონობისკენ სწრაფვის გამო ,საჭიროებას წარმოადგენს აშშ-სა და იაპონიას შორის ურთიერთობების გაღრმავების.იაპონიის უსაფრთხოების გარანტი 50 000 სამხედრო ჯარისკაცია , რომელიც ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს , თავის მხრივ კი არსებული სამხედრო ბაზა ამერიკის საყრდენს წარმოადგენს რეგიონში.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საინფორმაციო სააგენტო „კიოდოს“ მიერ გარცელებული ინფორმაციის თანახმად, იაპონელების თითქმის 55% პესიმისტურად უყურებს იაპონია-ამერიკის მომავალ ურთიერთობებს, ხოლო 84%-ს ეშინია, რომ აშშ-ის ახალი

ადმინისტრაციის პოლიტიკური კურსი მსოფლიოს არასტაბილურობას მოუტანს, მტკიცდება ჰიპოთეზა, რომლის თანახმად აშშ იაპონიას განიხილავს სტრატეგიულ პარტნიორად შორეულ აღმოსავლეთში და პოზიციების განმტკიცების გარანტად რეგიონში, თავის მხრივ ჩრდილოეთ კორეის აგრესიული სარაკეტო პროგრამის ფონზე იაპონია კვლავ საჭიროებს აშშ-თან ურთიერთობის გაღრმავებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია შემდეგი ფაქტების გაანალიზება, კერძოდ, ოფიციალური ვაშინგტონი ნათლად აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ იაპონია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული დემოკრატიასა და უდიდეს ეკონომიკას წარმოადგენს. აშშ-იაპონიის ალიანსი კი აშშ-ს უსაფრთხოების ინტერესების ქვაკუთხედი აზიაში და რეგიონალური სტაბილურობისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენს. ალიანსი ემყარება საყოველთაო სასიცოცხლო ინტერესებს და ღირებულებებს, მათ შორის:

ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნებას;

პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლებების დაცვას და პოპულარიზაციას;

ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერას; კეთილდღეობის გაფართოებას ორივე ქვეყნის ხალხისთვის და მთლიანობაში საერთაშორისო საზოგადოებისთვის.

2020 წელს აშშ-იაპონიის უსაფრთხოების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-60 წლისთავი აღინიშნა. აშშ-იაპონიის ალიანსი 2015 წელს გამყარდა, როდესაც აშშ-სა და იაპონიის თავდაცვის სახელმძღვანელო იქნა გამოქვეყნებული, რომელიც უსაფრთხოებაზე ორიენტირებულ თანამშრომლობის ახალ და გაფართოებულ ფორმებს ითვალიწინებს. იაპონია უზრუნველყოფს როგორც სამხედრო ბაზების, ასევე აშშ-ის იაპონიის ტერირორიაზე მოქმედი შეიარაღებული ძალების ფინანსურ და მატერიალურ დახმარებას, რაც აუცილებელია რეგიონში სტაბილურობის შესანარჩუნებლად. 2016 წლის იანვარში შეერთებულმა შტატებმა და იაპონიამ ხელი მოაწერეს ახალ ხუთწლიან პაკეტს, რომელიც აშშ – ის ძალების იაპონიაში შესაბამის სტატუს ითვალისწინებს. 2016 წლის დეკემბერში შეერთებულმა შტატებმა იაპონიას გადასცა ჩრდილოეთ სასწავლო ტერიტორიის ძირითადი ნაწილი, თითქმის 10,000

ჰექტარი, შესაბამისად, შეერთებულმა შტატების კუნძულ ოკინავაზე კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორია 20 პროცენტით შემცირდა.

მსოფლიოში ორი ქვეყნის ეკონომიკური და დიპლომატიური გავლენის გათვალისწინებით, აშშ-იაპონიის ურთიერთობებმა გლობალური მასშტაბი შეიძინა. შეერთებული შტატები და იაპონია თანამშრომლობენ გლობალური საკითხების ფართო სპექტრზე, მათ შორის განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენის, გლობალური ჯანმრთელობის, გარემოსდაცვით და ქალთა უფლებების დაცვის საკითხებში. ქვეყნები ასევე მუშაობენ ერთად, ხელი შეუწყონ ინფორმაციისა და კომუნიკაციების ტექნოლოგიების განვიტარებასა და 5G ქსელებზე უსაფრთხო გადასვლას. ტოკიო და ვაშინგტონი ფართო მასშტაბით თანამშრომლობენ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების ისეთ სფეროებში, როგორებიცაა უახლოესი ტექნოლოგიები, ინფექციური დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლა, მედიცინა და კოსმოსური საერთაშორისო კვლევები.

იაპონია და შეერთებული შტატები მჭიდრო თანამშრომლობენ საერთაშორისო დიპლომატიურ ინიციატივებზე. შეერთებული შტატები კონსულტაციებს უწევს იაპონიასა და კორეის რესპუბლიკას ჩრდილოეთ კორეის სარაკეტო პროგრამასთან დაკავშირებით. შეერთებული შტატები კოორდინირებას უწევს იაპონიასა და ავსტრალიას სამმხრივი სტრატეგიული დიალოგის და უსაფრთხოებისა და თავდაცვის თანამშრომლობის განვითარების მიმართულებით.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, აშშ-იაპონიის თანამშრომლობა ხელს უწყობს საზღვაო უსაფრთხოებას და ეკონომიკურ განვითარებას. აზიის ფარგლებს გარეთ, იაპონიის პოლიტიკურმა და ფინანსურმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი აშშ-ს ძალისხმევას სხვადასხვა გლობალური პრობლემების საკითხების წინააღმდეგ, მათ შორის, ე.წ. „ისლამური სახელმწიფოს“ და საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, კორონავირუსის და სხვა განვრცელებული პანდემიური ინფექციების გავრცელების შეჩერების საკითხებში და ა.შ. რეგიონში და მის ფარგლებს გარეთ რუსული აგრესიის გაფართოებისა და მეკობრეობის წინააღმდეგ ბრძოლა, ასევე ადამიანის უფლებების და დემოკრატიის დამკვიდრება

ორივე ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მთავარ პრიორიტეტებს წარმოადგენს. იაპონია გაეროს ფარგლებშიც აშშ-ის უახლოესი პარტნიორია გაეროს ბიუჯეტში შენატანების მიხედვით მეორე ადგილი უკავია. იაპონია ფართოდ უჭერს მხარს შეერთებულ შტატებს შეიარაღების შემცირებისა და ბირთვული უსაფრთხოების, ასევე მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლაში. იაპონიასა და შეერთებული შტატებს საერთო ხედვები გააჩნიათ ინდო-წყნარი ოკეანის რეგიონისა და გლობალური უსაფრთხოების საკითხებში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბზეჟინსკი, ზბიგნევ. დიდი საჭადდრაკო დაფა. გამომცემლობა- არტანუჯი . თბილისი -2014.
2. ნანა გელაშვილი . იაპონია საუკუნეთა ლაბირინთებში.გამომცემლობა - უნივერსალი . თბილისი -2012.
3. ნიკა ჩიტაძე. გეოპოლიტიკა. გამომცემლობა - უნივერსალი. თბილისი -2011.
4. ირაკლი გორგილაძე. გეოპოლიტიკის საფუძვლები. გამომცემლობა - უნივერსალი. თბილისი- 2009
5. ალექსანდრე რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. გამომცემლობა - ნეკერი. თბილისი -2009.
6. ზურაბ აბაშიძე. ცივი ომი . ჩემი სამყარო ჟურნალი ახალგაზრდებისთვის. თბილის- 2014.
7. დავით გოგინაშვილი.იაპონია- იზოლაციის დასასრული და გზა ახალი ქვეყნის ჩამოყალიბებისკენ.გამომცემლობა -რეგიონი .თბილისი- 2010.
8. სოფიო გუგუნავა. კონფლიქტის იაპონიის ჩრდილოეთ ტერიტორიების გარშემო (პრობლემები და გადაჭრის გზები).თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (დისერტაცია).თბილისი -2016.
9. თოლორდავა თამარი. ჩინეთის სამხედრო სტრატეგია და მისი რეალიზაციის ინტრუმენტები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი(დისერტაცია).თბილისი-2017.
10. ჰეივუდი, ენდრიუ. პოლიტიკური იდეოლოგიები. თბილისი: გამომცემლობა ლოგოს პრესი.2004

11. მაღრაძე, გუგული, მაისაია,ვახტანგ. 21-ე საუკუნის საერთასორისო პოლიტიკა და თანამშრომლობითი უსაფრთხოების თეორია: მითი თუ რეალობა-რეგიონული და გლობალური ასპექტები.თბილისი . გამომცემლობა უნივერსალი . 2017.
12. გიორგი ქუთათელაძე. იაპონური მენეჯმენტი და მისი ტრანსფერის თეორიულ-ემპირიული შესაძლებლობა.საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტ თბილისი-2015
13. ირაკლი ლაითაძე. იაპონიის მაგალითი. გამომცემლობა ფორბეს .2013.
14. ნელი შვანგირაძე. აშშ-ჩინეთის ურთიერთობები, კომპლექსური ურთიერდამოკიდებულების შემთხვევა,მმართველი პოლიტიკური პარტიის მაგალითზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი(დისერტაცია) თბილისი 2018.
15. ჯეფრი ჰერბნერი - გროუვის კოლეჯის პროფესორი და ლუდვიგ ფონ მიზესის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი . გამოქვეყნდა 1999 წელს
16. პაპაქსირი თეიმურაზ.დიალოგი საქართველოს და იაპონიას შორის. ნანა გელაშვილი,მიცუიოში ნუმანი, ტოკიო , ტოკიოს უნივერსიტეტი.2018
17. იაპონიის კონსტიტუცია. https://www.ge.embjapan.go.jp/files/japan_fact_sheet/Constitution%20of%20Japan.pdf-ნანახია 25.03.2020.
18. აკობია ე.საერთაშორისო ურთიერთობების თეორია.თბილისი: გამომცემლობა სოც. მეცნიერებათა ცენტრი.2006.
19. დავითაშვილი ზ.ნაციონალიზი და გლობალიზაცია. გამომცემლობა მეცნიერება.თბილისი-2003
20. რონდელი ა.საერთაშორისო ურთიერთობები. გამომცემლობა ნეკერი.თბილისი-2006
21. მასურაშვილი ი. ამერიკის და იაპონიის მენეჯმენტის გავლენა სამხრეთ კორეის ბიზნესის განვითარებაზე. ჟურნალი „ეკონომისტი“.2012.

22. Jansen, B. Marius. The Making of Modern Japan. United States of America, Harvard UniversiTy Press, 2002.

23. .ჯოლია, გურამ. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. ევროპის სასწავლო უნივერსიტეტი. თბილისი:2015

25. ლევან აღნიაშვილი. აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობები. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეთბილისიტეტი (დისერტაცია) .თბილისი- 2019.

26. use relations with japan. https://www.state.gov/u-s-relations-with-japan/?fbclid=IwAR2YADAAnNIl2--BbYGkRngTfibpkRiWio0PKmm-j0yQHo51Z8WMlrYQLCU- ნანახია 12.05.2020

27. ამერიკის საჰაერო ბაზა იაპონიაში. https://www.amerikiskhma.com/a/a-54-2009-11-12-voa19-93132104/526479.html-ნანახია .15.05.2020

28. „ავტომობილების მსოფლიო ბაზრის მიმოხილვა "ტოიოტა" მსოფლიო ლიდერობას უმიზნებს „ http://aaf.ge/index.php?menu=2&jurn=0&rubr=2&mas=1700- ნანახია 15.06.2020

29. Front Line Workers Tell Their Own Stories in the New Issue of TIME https://time.com/5358113/hiroshima-nagasaki-history-reconciliation/- ნანახია 02.05.2020

30. Occupation and Reconstruction of Japan, 1945–52 https://history.state.gov/milestones/1945-1952/japan-reconstruction-ნანახია 18.06.2020

31. „ოკუპაცია“ https://www.youtube.com/watch?v=ZEga1ZIcBfs- ნანახია 20.15.2020.